

კვლევის ანგარიში

დიდუბის ტყეები

ეკოლოგიური კავასგროვის წინაშე

აღსაბუღი მდგომარეობა და კომდემიდან გამოსავალი



კვლევის ანგაჩიში

დიღმის ჭადები

ეკოლოგიური კავასგროვის წინაშე

აკსეპუდი მდგომარეობა და კრობედიდან გამოსავალი

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით საგრანტო პროექტის „დიღმის ჭალების ეკოლოგიური კრიზისის გადწყვეტა“ ფარგლებში. ავტორების მიერ ანგარიშიში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ავტორები:
მარიამ ხვედელიძე,
ანა ტრაპანიძე

იანვარი, 2021



გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

აკროკის შესახებ:

მარიამ ხვედელიძე დაიბადა 1995 წელს. 2020 წელს მან დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მმართველობის სკოლის სამაგისტრო პროგრამა „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა“ და მოიპოვა გარემოს დაცვის მაგისტრის ხარისხი. მაგისტრის ხარისხის მისაღებად მარიამმა მოამზადა და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და ხარვეზები“. ამჟამად, მარიამი მუშაობს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) პროექტის კოორდინატორის პოზიციაზე. ის დაინტერესებულია გარემოსდაცვითი საკითხების კვლევით და გეგმავს მომავალში სიღრმისეულად შეისწავლოს საქართველოში გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემები, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივის“ თანამშრომელმა.

ანა ტრაპანიძე დაიბადა 1987 წელს. არის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკის განხრით (თსუ, 2008), მოლეკულური სიცოცხლის მეცნიერებების მაგისტრი მოლეკულური ბიოფიზიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალობით (ჯაკობსის უნივერსიტეტი, ბრემენი, გერმანია, 2010), მიკრო და ნანო სისტემების დოქტორი ბიოსენსორების დარგში (პოლს საბათიეს უნივერსიტეტი, ტულუზა, საფრანგეთი, 2015). 2016-2018 იყო კოლოიდების და ზედაპირების კვლევის მაქს პლანკის ინსტიტუტის ბიომასალების განყოფილების პოსტდოქტორანტი მეცნიერ-თანამშრომელი (პოცდამი გერმანია). 2018 წლიდან არის სამედიცინო ფიზიკის და ბიოფიზიკის მოწვეული ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე. 2020 წლიდან არის სამოქალაქო აქტივისტი და ხელმძღვანელობს ეკოლოგიურ პროექტს „დიღმის ტაღების ეკოლოგიური კრიზისის გადაწყვეტა“.



საჩრეპი

კვლევის მიზანი	6
კვლევის მეთოდოლოგია	6
1. სიღუაყიის ანალიზი	6
1.1. დიღმის ჭალები და ტერიტორიის განვითარების ტენდენცია	6
1.2. ჭალის ტყის ეკოსისტემა და მისი მნიშვნელობა	10
1.3. დიღმის ჭალების ეკოსისტემის მნიშვნელობა და უნიკალურობა	12
1.4. დიღმის ჭალებში მიმდინარე პროცესები და მათი გავლენა ჭალის ეკოსისტემაზე	19
1.5. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები და დიღმის ჭალების სტატუსი გენგეგმის მიხედვით	44
2. დიღმის ჭალების მომავალი და პრობლემიდან გამოსავალი	49
2.1. კიდევ უფრო დიდი მოსალოდნელი საფრთხე	49
2.2. პრობლემიდან გამოსავალი	50
3. კვლევის ძირითადი მიგნებები	55
ბიბლიოგრაფია	61
ფოტომასალების დანართი	64

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის ანგარიშის მომზადების მიზანს წარმოადგენს ქ.თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბუნებრივი არეალის, დიღმის ჭალეების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ამ პროცესების შედეგად დიღმის ჭალეების ბუნებრივი ეკოსისტემისა და გარემოს კომპონენტებისთვის მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შეფასება და ფართო საზოგადოების ინფორმირება დიღმის ჭალეების მნიშვნელობისა და აქ არსებული მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის შესახებ. წინამდებარე ანგარიში მიზნად ასევე ისახავს გახდეს დიღმის ჭალეების ეკოლოგიური კრიზისის შესახებ უფრო სიღრმისეული და დეტალური კვლევის ჩატარების საფუძველი, რაც თავის მხრივ, უნდა გახდეს წინაპირობა სახელმწიფოს მხრიდან ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის გამოსწორების, დეგრადირებული გარემოს აღდგენის და ეკოსისტემისთვის პირვანდელი სახის დაბრუნებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ის მეტწილად ეფუძნება მეორად ლიტერატურას, მათ შორის, სხვადასხვა კვლევებს, ანგარიშებსა და სახელმწიფო უწყებებისგან მოწოდებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში განხორციელდა საველე გასვლა დიღმის ჭალეებში და არსებული სიტუაციის ადგილზე შესწავლა და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან.

კვლევის ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია დამუშავებული, გაანალიზებული და შეჯამებული სახით წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში.


1. სიგუასის ანალიზი

1.1. დიღმის ჭალეები და ტერიტორიის განვითარების ტენდენცია

დიღმის ჭალეები ქ.თბილისში, ოლიმპიური სოფლის მიმდებარედ, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასაზე მდებარეობს. ჭალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სრული ფართობი 190 ჰექტარია, საიდანაც 67 ჰექტარი დღესდღეობით კერძო საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ნაწილი, 123 ჰექტარამდე

ტერიტორია სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაშია (იხ. ფოტოსურათი 1). არეალის დაახლოებით 64 ჰექტარი ტყით იყო დაფარული მანამ, სანამ 2015 წლიდან ტერიტორიაზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ტყის საფარის დიდი ნაწილი განადგურდებოდა. დიღმის ტალეები ქალაქისთვის უჩვეულო ბუნებრივი ეკოსისტემით გამოირჩევა, რომელიც ძირითადად ტალის ტყისთვის დამახასიათებელი მცენარეულობით – ვერხვის, მუხის, ტირიფის ხეებით, ბუჩქნარითა და ბალახეულობით არის დაფარული. ტალეებში ასევე ვხვდებით გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა სახეობებსაც.

დიღმის ტალეების მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიური სოფელია განთავსებული, სადაც ფუნქციონირებს სპორტული კომპლექსი ოლიმპიური აუზით, ტანვარჯიშის არენითა და სპორტული მოედნებით. ოლიმპიური სოფლის უკან საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ალმასი“ მდებარეობს.




სატელიტური სურათი 1. დიღმის ტალეების 190 ჰა ფართობის ტერიტორია, 7/20/2020

მწვანე - მუნიციპალურ საკუთრება (52 ჰა)

მუქი ლურჯი - ტექნოლოგიური ინსტიტუტის ტერიტორია, სახელმწიფო საკუთრება (25 ჰა)

ცისფერი და ყვითელი - ოლიმპიური სოფლისა და „სპორტმშენსერვისის“ საკუთრებაში არსებული ტერიტორია, სახელმწიფო საკუთრება (20 ჰა და 26 ჰა)

ვარდისფერი - კერძო საკუთრება (67 ჰა)



სურათი 1. დიღმის ჭაღების ტყის ფრაგმენტი და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობები

აღსანიშნავია, რომ დიღმის ჭაღების მიმდებარე ტერიტორიის ეტაპობრივი ათვისება და ურბანული განვითარება სულ რამდენიმე წლის წინ, დაახლოებით 2015 წლიდან დაიწყო და სწორედ ბოლო წლების განმავლობაში მოხდა, როგორც ზემოთ ხსენებული ოლიმპიური სოფლის, ისე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. ტერიტორიის განვითარების კვალდაკვალ გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის მიერ დიღმის ჭაღების სარეკრეაციო მიზნით გამოყენების პოტენციალი. **ჰერ კიდევ 2015 წელს, თბილისის მაშინდელმა მერმა, დავით ნარმანიამ განცხადა, რომ დიღმის ჭაღებში დედაქალაქში ყველაზე დიდი პარკის მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო, რომელიც ქალაქის მთავარი სარეკრეაციო სივრცის ფუნქციას შეასრულებდა¹.** 2015 წლიდან დღემდე, 2020 წლამდე, დიღმის ჭაღებში სარეკრეაციო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებული გეგმები კვლავ გეგმებად რჩება, მაგრამ ის ფართობი, რომელიც პირველადი ინფორმაციით დიღმის ჭაღების პარკს უნდა დაეფარა, უფროდაუფრო მცირდება. თავდაპირველი მონაცემებით, ჭაღებში მოწყობილი პარკი 50 ჰექტარი ფართობის (მტკვარში არსებული ჭაღის კუნძულის ჩათვლით) უნდა ყოფილიყო. 2019 წლის იავარში თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაკეთებული განცხადებით, დიღმის ჭაღების პარკის პროექტირება დასრულებული იყო და სამშენებლო სამუშაოები სულ მალე უნდა დაწყებულიყო. პროექტის მიხედვით პარკს მხოლოდ 15 ჰექტარი ფართობის ტერიტორია უნდა დაეფარა².

1. Tbilisi City Hall Presscentre, 2015. დიღმის ჭაღებში 50 ჰექტარზე დასასვენებელი პარკის მოწყობა იგეგმება. <https://www.youtube.com/watch?v=RFr28eGrw1k>
2. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2019. ახალი საქალაქო პარკის მოწყობის პროექტი დიღმის ჭაღებში. <https://www.facebook.com/1551989221697558/videos/543398949500926/>



ფოტოსურათი 1. დიღმის ქალის პარკის პროექტი



ფოტოსურათი 2. დიღმის ქალის პარკის პროექტი

წყარო: <https://commerciant.ge>³

3. სურათები ხელმისაწვდომია ბმულზე <https://commerciant.ge/ge/post/digmis-chalebshi-axali-saqalaqo-parki-moewyoba>

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერვე გავრცელებული ინფორმაციით, პარკის სამშენებლო სამუშაოები 2020 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა ამ დრომდე მშენებლობაც არ არის დაწყებული, რაც პარკის პროექტის განხორციელების რეალურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ქმნის. **იმ შემთხვევაში, თუ დიღმის ჭალებში სარეკრეაციო სივრცე მართლაც მოეწყობა, ტერიტორიის თავისებურებებისა და ჭალის უნიკალური ჰაბიტატის შენარჩუნების მნიშვნელობის გათვალისწინებით, არაერთი ფაქტორის მხედველობაში მიღება იქნება აუცილებელი.** როგორც 1-ელ და მე-2 სურათზე ვხედავთ, პარკის ზემოაღნიშნული პროექტი დიღმის ჭალების ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის რეკრეაციული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ამფითეატრის, კინოთეატრის, სპორტული მოედნებისა და სხვა ნაგებობების მოწყობას ითვალისწინებს. თუმცა, აუცილებელია, რომ პროექტი უზრუნველყოფდეს ჭალის უნიკალური ეკოსისტემის მაქსიმალურად ხელუხლებელი სახით შენარჩუნებას და ინფრასტრუქტურის მოწყობას ჭალის ტყის ჰაბიტატისგან მოშორებით.

1.2. ჭალის ტყის ეკოსისტემა და მისი მნიშვნელობა

სანამ უშუალოდ დიღმის ჭალების ეკოლოგიურ მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, ზოგადად განვმარტოთ რას ნიშნავს ჭალა, ჭალის ტყე და რა ფუნქციები აკისრია ამ ტიპის ეკოსისტემებს. საქართველოს კანონმდებლობაში⁴ ჭალის ტყე განმარტებულია, როგორც ტყე, რომელიც მდინარის აუზშია განფენილი და პერიოდულად (წყალდიდობის ან/და წყალმოვარდნის დროს) წყლით იფარება (საქართველოს ტყის კოდექსი, მუხლი 2). გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისურ ენაში სიტყვა „ჭალის“ პირდაპირი შესატყვისი არ არსებობს, ჭალის ტყის ეკოსისტემის ანალოგად შეიძლება მივიჩნიოთ სანაპიროს ტყე/ტყის მასივი (riparian forest, riparian woodland, waterside forest) ან წყალდიდობისა და ფარული დაბლობის ტყე (floodplain forest).

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია Trees for Life-ის⁵ განმარტებით, სანაპიროს ტყე/ტყის მასივი არის ტყიანი ან ხეებით მჩხეხრად დაფარული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს წყლის ნაკადის - მდინარის, ნაკადულის, ტბორის, ტბის, ჭაობიანი ადგილის, არხის ან წყალსაცავის მიმდებარედ. ამავე ორგანიზაციის ინფორმაციით, სანაპიროს ტყეები ძალიან მდიდარ და ღირებულ ჰაბიტატებს წარმოადგენენ ცოცხალი ორგანიზმებისთვის და მათ მნიშვნელობას არაერთი ფაქტორი უსვამს ხაზს. ღრმაფესვიანი ხეების არსებობა მდინარის პირას ხელს

4. საქართველოს 2020 წლის 22 მაისის კანონი „ტყის კოდექსი“, მე-2 მუხლი, დ პუნქტი. ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0>

5. Trees for Life. Riparian Woodland. <https://treesforlife.org.uk/into-the-forest/habitats-and-ecology/habitats/riparian-woodland/>

უშლის ნაპირების წარცხვას, ამასთან სანაპირო ზონის ეკოსისტემები წარმოადგენენ საკვები ნივთიერებებისა და ენერჯის მნიშვნელოვან წყაროს და სათავსოს. ხეები ბუნებრივად ცვლიან წყლის ქიმიურ ბალანსს ნიადაგიდან მინერალების ამოღებისა და მათი წყალში გადატანის გზით, ისინი უზარმაზარ როლს ასრულებენ მდინარის ბიოლოგიური სიჯანსაღის შენარჩუნებაში: ხეების ფოთლებიდან და ტოტებიდან წყალში ჩაცვნილი უხერხემლო ცხოველები წარმოადგენენ მდინარეში მცხოვრები თევზების ძირითად საკვებს, ხეების მიერ შექმნილი ჩრდილი აბალანსებს წყალში სარეველების ზრდას და არეგულირებს მის ტემპერატურას, ხეებიდან ჩამოცვნილი ფოთლების ნარჩენები, რომლებიც წყალში ვარდებიან, საფუძველს უყრიან კვებით ჯაჭვს.

სანაპიროს ტყეების არსებობა ადამიანებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, იაზრებენ თუ არა ისინი მის საჭიროებას. წყალდიდობების სიშირის ზრდა, დიდწილად სანაპიროს ტყეების შემცირებას უკავშირდება. სანაპიროს დაბლობის ტყეები ღრუბლის როლს ასრულებენ, შთანთქამენ მდინარის კალაპოტიდან გადმოსულ წყალს, შემდეგ ნელ-ნელა გამოყოფენ/ათავისუფლებენ მას და ასე აბალანსებენ/არბილებენ მის ზემოქმედებას ლანდშაფტზე. ამ გზით, სანაპიროს ტყეებს შეუძლიათ შეამცირონ წყალდიდობებისგან დამცავი საშუალებების მოწყობის ხარჯები. სანაპიროს/ჭალის ტყეების ეკოსისტემები უნიკალურია იმიტომ, რომ მდინარეებთან არსებული ჭალები პერიოდულად წყლით იფარება. ეს რეგულარული წყალმოვარდნები, რომლებსაც სანაპიროებზე მდინარიდან ამოაქვთ შლამი და ქვიშა, ხელს უწყობს უნიკალური, იმ მცენარეების ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რომლებიც ტოლერანტულები არიან წყალდიდობებისადმი და საჭიროებენ საკვები ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგს. ჭალის ტყეები არაერთი ეკოსისტემური სერვისით უზრუნველყოფენ საზოგადოებას: ისინი ეხმარებიან დამბინძურებლების გაფილტვრას და იცავენ მდინარეებს მათგან, აუმჯობესებენ წყლის ხარისხს, კრიტიკულ როლს თამაშობენ ეროზიის კონტროლირებაში და წარმოადგენენ დამცავ ზონას კატასტროფული წყალდიდობების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჭალის ტყეები წარმოადგენს სახლს ველური ბუნების არაერთი წარმომადგენლისათვის. ტენიანი ნიადაგები ქმნიან მწერების და ამფიბიების გამრავლებისთვის მდიდარ ჰაბიტატებს, ეს სახეობები კი, თავის მხრივ, ხდებიან მსხვერპლნი ფრინველებისა და ძუძუმწოვრებისთვის⁶.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მდინარე კონეკტიკუტის რეგიონში ჩატარებულმა კვლევამ⁷ აჩვენა, რომ გაზაფხულის წყალდიდობები ჭალის ნიადაგს ზამთრის ყინვის შემდეგ ალღობს და საკვებით მდიდარს ხდის უფრო ადრე, ვიდრე ეს ხდება მიმდებარე ტერიტორიებზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მწერები აქ უფრო ადრე ხდებიან ფრინველებისთვის საკვებად ხელმისაწვდომნი, ამგვარად, ფრინველები

6. Trees for Life. *Riparian Woodland*. <https://treesforlife.org.uk/into-the-forest/habitats-and-ecology/habitats/riparian-woodland/>

7. University of New Hampshire, 2018. *Floodplain Forests*. <https://extension.unh.edu/resource/floodplain-forests>

ადრეული გაზაფხულის მიგრაციის დროს უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ჭაღის ტყეებზე ვიდრე ტყის სხვა ჰაბიტატებზე. ჭაღის ტყეები წარმოდგენს კორიდორს, რომელიც საშუალებას აძლევს გადამფრენ ფრინველებს მიგრირდნენ ერთი ჰაბიტატიდან მეორეში, განსაკუთრებით ურბანულ ტერიტორიებზე, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარებამ მოახდინა მათი ალტერნატიული სამგზავრო მარშუტების ფრაგმენტაცია.

1.3. დიღმის ჭაღების ეკოსისტემის მნიშვნელობა და უნიკალურობა

საქართველოს კანონმდებლობით, ბუნებრივი ეკოსისტემები განსაკუთრებულ დაცვას უნდა ექვემდებარებოდეს. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის⁸ 45-ე მუხლში ნათქვამია, რომ „ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან“, იმ ბუნებრივი ეკოსისტემების ჩამონათვალში კი, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება ჭაღის ტყეებისა შეტანილი. სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ წარმომადგენელმა, ბიომრავალფეროვნების ექსპერტმა კახა არცივაძემ ინტერვიუში⁹ განაცხადა, რომ **ჭაღის ტყეები უნიკალურ, თუმცა ამავე დროს უკიდურესად მოწყვლად ეკოსისტემას წარმოდგენს.** ამგვარი ტიპის ტყეები, როგორც წესი, მშრალ ზონებში მდებარეობს და საარსებოდ მათ პერიოდულად, რამდენიმე წელიწადში ერთხელ წყლით დაფარვა ესაჭიროებათ. **დღესათვის საქართველოში ჭაღის ტყეების ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი.** ჭაღის ტყეების შემცირება სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული, მათ შორის, უმთავრესია მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმის შემცირება, რაც დაკავშირებულია როგორც ჰესების მშენებლობასთან, ისე კლიმატის ცვლილების შედეგებთან. „ჭაღის ტყეების ფრაგმენტები შენარჩუნებულია ალაზნის ჭაღებში, მდ.იორის რამდენიმე მონაკვეთზე და ყველაზე უფრო მცირე რაოდენობით კი მდ. მტკვარზე. სწორედ ამიტომ, **მტკვარზე შემორჩენილი ნებისმიერი ჭაღის ტყის დაცვა და შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია**“¹⁰ – განაცხადა კახა არცივაძემ.

დიღმის ჭაღები აქ გავრცელებული ფლორისა და ფაუნის სახეობებისთვის უნიკალურ ჰაბიტატსაც ჰქმნის. ჭაღის ტერიტორიაზე მცენარეულობის სახეობებიდან ვხვდებით ფშატის, ვერხვის, მუხის ხეებს, ბუჩქნარებსა და მდელოს ბალახეულობას, მცირე ზომის ცხოველებიდან მელიებსა და წავებს (ბინადრობენ ჭაღის კუნძულზე). აღსანიშნავია, რომ წავი საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობაა და მოწყვლადი (Vulnerable) ჯგუფის კატეგორიაშია შესული, ამის მიზეზად კი წავებისთვის საცხოვრებლად შესაფერისი გარემოს (ჰაბიტატების) შემცირებაა დასახელებული, თუმცა, საბენდიეროდ ფაუნის ამ მოწყვლადი სახეობის წარმომადგენლების საკმაოდ

8. საქართველოს 1996 წლის 10 დეკემბრის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29>

9. პირადი ინტერვიუ კახა არცივაძესთან. 2021 წლის 23 იანვარი.

10. პირადი ინტერვიუ კახა არცივაძესთან. 2021 წლის 23 იანვარი.



I ბერნის კონვენცია

1979 წელს შეიქმნა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონვენცია, ე.წ. „ბერნის კონვენცია“, რომელიც ხელმომწერი ქვეყნებისთვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია. მისი მიზანია ველური ფლორისა და ფაუნის, ასევე ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ბუნების დაცვის სფეროში.

II ზურმუხტის ქსელი

1989 წელს ბერნის კონვენციის მხარე ქვეყნებმა ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად შექმნეს სპეციალური მექანიზმი: ზურმუხტის ქსელი.

ზურმუხტის ქსელი არის ეკოლოგიური ქსელი, ურთიერთდაკავშირებული ტერიტორიების სისტემა, სადაც ხორციელდება შესაბამისი მართვა, მონიტორინგი და ანგარიშგება. რამდენადაც იგი ბერნის კონვენციის ეგიდით შეიქმნა, მისი მიზანია იმ სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიანი შენარჩუნების უზრუნველყოფა, რომლებიც ამ კონვენციის მიხედვით დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს საჭიროებენ.

წყარო: <https://rm.coe.int/16806a6d04>¹¹

დიდი ოჯახი ცხოვრობს მდ.მტკვარში, გლდანის ხიდის ქვემოთ მოქცეულ ჭალის კუნძულზე.¹¹ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჭალის კუნძულის (ე.წ. თბილისის წავის კუნძული) შესახებ ინფორმაცია 2020 წელს შესაფასებლად გაეგზავნა „ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციას¹ და გასული წლის დეკემბერში თბილისის წავის კუნძული გახდა ზურმუხტის ქსელის¹² კანდიდატი ტერიტორია¹². აღნიშნული ტერიტორია ზურმუხტის ქსელის კანდიდატად მისი ბინადარი წავების ჰაბიტატის დასაცავად შეირჩა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ არეალზე ბერნის კონვენციით დაცული ფრინველთა სახეობებიც ბინადრობენ, მათ შორის, ცისფერი ალკუნი (Alcedo Atthis), დიდი თეთრი ყანა (Egretta Alba), პატარა ყანა (Egretta Garzetta) და ღამის ყანა (Nycticorax) (Emerald - Standard Data Form for Tbilisi Otter Island). „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ ევრო-დირექტივის თანახმად, ზურმუხტის ტერიტორიის (მათ შორის, შეთავაზებული და კანდიდატი ტერიტორია) მესაკუთრე (ჭალის კუნძულის შემთხვევაში თბილისის მუნიციპალიტეტი) ვალდებულია დაიცვას აღნიშნული

11. ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული საინფორმაციო ბროშურა: ზურმუხტის ქსელი - ინსტრუმენტი ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად. <https://rm.coe.int/16806a6d04>

12. პირადი ინტერვიუ კახა არცივაძესთან. 2021 წლის 23 იანვარი.

ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყოს იმ ეკოლოგიური მახასიათებლებისა თუ კომპონენტების შენარჩუნება, რომელთათვისაც ზურმუხტის ტერიტორია შეიქმნა¹³.



სურათი 2. ჭალის კუნძული, ე.წ. „წავის კუნძული“

წყარო: <http://ecofilms.ge/>

ბერნის კონვენციით დაცული ზემოთხსენებული სახეობების გარდა, დიღმის ჭალეზის ტერიტორიაზე ვხვდებით ასევე წყალმცურავ ფრინველებს - ჩვამასა და წეროს. ფრინველთა მრავალფეროვნებითა და რიცხოვნობით ეს ტერიტორია განსაკუთრებით გაზაფხულის პერიოდში გამოირჩევა, როდესაც გადამფრენი ფრინველები აქ ხშირად ჩერდებიან. ტერიტორიაზე ქვეწარმავლებიც ბინადრობენ, მათ შორის, გამოირჩევა კუების სახეობები - ჭაობის კუ და ხმელთაშუაზღვეთის კუ¹⁴ (დიღმის ჭალის გარემოში ზემოქმედების შეფასების ანგარიში). ჭაობის კუ ბერნის კონვენციით დაცულ სახეობას წარმოადგენს, ხოლო ხმელთაშუაზღვეთის კუ საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი და მოწყვლად სახეობად მიიჩნევა არამხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

13. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის 2020 წლის 22 დეკემბრის N 12258/01 წერილი.

14. ქ. თბილისში მდ. მტკვარზე 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჭესის („დიღმის ჭესი“) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2019 წელი. ხელმისაწვდომია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <https://mepa.gov.ge/Ge/EiaAndSeaAnnouncements>



სურათი 3. ჭალის ტყეში ღამით დაფიქსირებული წაგები

წყარო: <http://ecofilms.ge/>

ჭალების ეკოსისტემას თავისებურებასა და უნიკალურ სილამაზეს კიდევ უფრო ჰმატებს ტბები, რომლებიც მდებარეობს როგორც ჭალის ტყეში, ისე მის გარეთ. მართალია, აღნიშნული ტბების წარმოშობის შესახებ მეცნიერული ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა ტერიტორიის გეოლოგიური მახასიათებლებისა და ლანდშაფტური აგებულების გათვალისწინებით, ტბები ხელოვნური წარმოშობის უნად იყოს. ჰიდროლოგმა დალი ბოლქვაძემ ინტერვიუში¹⁵ აღნიშნა, რომ მტკვრის აუზის ქვიანი აგებულების გამო მდ.მტკვრის კალაპოტიდან წყალი საერთოდ არ იჟონება, შესაბამისად, დიღმის ჭალების ტბები ბუნებრივი წარმოშობის ვერ იქნება, რადგანაც ტბების ბუნებრივად წარმოსაქმნელად მიწისქვეშა საზრდოობაა საჭირო. დიდი ალბათობით, დიღმის ჭალების ტერიტორიაზე ერთ დროს, ისევე როგორც დღეს, წილისეულის ღია კარიერული მოპოვება მიმდინარეობდა, რამაც ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება და ტყის საფარის დაზიანება გამოიწვია, ღიად დარჩენილი კარიერული ღრმულები კი ნალექების დაგროვების შედეგად წყლით შეივსო. მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტის შემდეგ, დროთა განმავლობაში ტერიტორიის მეორადი სუქცესია დაიწყო და ეკოსისტემამ ბუნებრივი, ჭალისთვის დამახასიათებელი სახის აღდგენა იწყო, კარიერების გარშემო ჭალის ტყის ეკოსისტემა ხელახლა განვითარდა და წყლით შევსებული კარიერული ღრმულებიც ბუნებრივ ტბებს დაემსგავსა. დღეისთვის ტბებს შექმნილი აქვთ უნიკალური, ჭაობის მსგავსი ჰაბიტატი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთათვის როგორც წყალში,

15. პირადი ინტერვიუ დალი ბოლქვაძესთან. 2021 წლის 21 იანვარი.

ისე ტბის გარშემო. თუმცა, ამჟამად დიღმის ჭალების ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების შედეგად, რომლებზეც ნაშრომის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ, ტბების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.



სურათი 4. ჭაობის კუ (*Emys orbicularis*) დიღმის ჭალების ტერიტორიაზე მდებარე ტბაში
წყარო: <https://storgaardphotography.com>¹⁶



სურათი 5. მდ. მტკვარში დაფიქსირებული სხვადასხვა ფრინველები
წყარო: <https://storgaardphotography.com/>

16. Storgaard Photography. THE TRAGEDY OF DIGHOMI MEADOWS. <https://storgaardphotography.com/the-tragedy-of-dighomi-meadows>



სურათი 6. დიღმის ჭალის ტბის ეკოსისტემა
წყარო: <https://storgaardphotography.com/>



სურათი 7. დიღმის ჭალის ტბის ეკოსისტემა
წყარო: <https://storgaardphotography.com/>

დიღმის ჭალების ბუნებრივი ეკოსისტემისა და მდიდარი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის მისი მდებარეობა. დიღმის ჭალების ტერიტორია ერთადერთი ადგილია თბილისის მასშტაბით, სადაც ჭალის ტყის ბუნებრივი ეკოსისტემა, ფლორისა და ფაუნის გამორჩეული სახეობებით მდიდარი ჰაბიტატი ნაცრისფერი ქალაქის შუაგულში გვხვდება. ურბანული ბიომრავალფეროვნების მნიშ-

ვნელობა და მისი დაცვის საჭიროება მსოფლიოში დღითიდღე უფრო აღიარებულია. ქალაქების და, შესაბამისად, ადამიანის ხელით შექმნილი გარემოს, მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკური საქმიანობების მასშტაბისა და შემაწუხებელი ფაქტორების ზრდის პარალელურად სულ უფრო მცირდება ველური ბუნების წარმომადგენელთათვის ხელსაყრელი გარემო-პირობები და ხდება მათთვის შესაფერისი ჰაბიტატების კარგვა/ფრაგმენტაცია. ამ პირობებში, უკიდურესად მნიშვნელოვანია მოხდეს იმ ბუნებრივი ეკოსისტემებისა და საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნება, რომლებიც ურბანული ბიომრავალფეროვნების არსებობას შესაძლებელს ხდის.

დიღმის ჭალების ბუნებრივი ეკოსისტემისა და მდიდარი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის მისი მდებარეობა. დიღმის ჭალების ტერიტორია ერთადერთი ადგილია თბილისის მასშტაბით, სადაც ჭალის ტყის ბუნებრივი ეკოსისტემა, ფლორისა და ფაუნის გამორჩეული სახეობებით მდიდარი ჰაბიტატი ნაცრისფერი ქალაქის შუაგულში გვხვდება. ურბანული ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და მისი დაცვის საჭიროება მსოფლიოში დღითიდღე უფრო აღიარებულია. ქალაქების და, შესაბამისად, ადამიანის ხელით შექმნილი გარემოს, მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკური საქმიანობების მასშტაბისა და შემაწუხებელი ფაქტორების ზრდის პარალელურად სულ უფრო მცირდება ველური ბუნების წარმომადგენელთათვის ხელსაყრელი გარემო-პირობები და ხდება მათთვის შესაფერისი ჰაბიტატების კარგვა/ფრაგმენტაცია. ამ პირობებში, უკიდურესად მნიშვნელოვანია მოხდეს იმ ბუნებრივი ეკოსისტემებისა და საცხოვრებელი ჰაბიტატების შენარჩუნება, რომლებიც ურბანული ბიომრავალფეროვნების არსებობას შესაძლებელს ხდის.



დიღმის ჭალების ეკოსისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა


- ▶ ჭალის კუნძულზე, ე.წ. თბილისის წავის კუნძულზე ბინადრობს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა წავი. სწორედ წავების ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, 2020 წლის ბოლოს ჭალის კუნძული ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორია გახდა.
- ▶ დიღმის ჭალების ტერიტორიაზე ბერნის კონვენციით დაცული ფრინველთა სახეობებიც ბინადრობენ: ცისფერი ალკუნის, დიდი თეთრი ყანჩა, პატარა ყანჩა, ღამის ყანჩა.
- ▶ ტერიტორიაზე ასევე ბინადრობს ჭაობის კუ (ბერნის კონვენციით დაცული სახეობა) და ხმელთაშუაზღვის კუ, რომელიც საქართველოს წითელი ნუსხაშია შეტანილი და მოწყვლად სახეობად ითვლება არამარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.
- ▶ დიღმის ჭალები ერთადერთი ადგილია თბილისის მასშტაბით, სადაც ჭალის ტყის ბუნებრივი ეკოსისტემა, ფლორისა და ფაუნის გამორჩეული სახეობებით ასეთი მდიდარი ჰაბიტატი შუაგულ ქალაქში გვხვდება.

ის ფაქტი, რომ დიღმის ტალღები შუაგულ ქალაქში, მარტივად მისადგომ ტერიტორიაზე მდებარეობს, არეალის სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენების პოტენციალსაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს.

აღნიშნული ტერიტორიის ადაპტირებისა და ტყე-პარკად განვითარების შემთხვევაში, თბილისის ნებისმიერ მაცხოვრებელს შეეძლება ძალიან მარტივად და მცირე დროში, ხშირ შემთხვევაში კერძო ტრანსპორტის გარეშეც კი ურბანული გარემოსგან სრულიად განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში აღმოჩნდეს, დატკბეს უნიკალური ტალღის ეკოსისტემისთვის დამახასიათებელი ტყით, დააკვირდეს ულამაზეს ფრინველებს და თუ გაუმართლებს შესაძლოა სადმე მეღიასაც გადაეყაროს. გარდა ამისა, თბილისის მასშტაბით ეს ტერიტორია არის მტკვრის სანაპირო ზოლის ერთადერთი მონაკვეთი, რომელიც ჯებირებში არ არის მოქცეული და ადამიანს შეუძლია დატკბეს მდინარის ნაპირას ფეხით თუ ველოსიპედით სეირნობით.

1.4. დიღმის ტალღებში მიმდინარე პროცესები და მათი გავლენა ტალღის ეკოსისტემაზე

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დიღმის ტალღების ბუნებრივი ეკოსისტემა მნიშვნელოვნად დეგრადირდა და ეკოლოგიური მდგომარეობა გაუარესდა, რაც ერთმნიშვნელოვნადაა დაკავშირებული იმ საქმიანობებთან და პროცესებთან, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში ტერიტორიაზე მიმდინარეობს. თუ სატელიტურ სურათ 2-სა და 3-ს დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ ის სახეცვლილებას, რომელიც დიღმის ტალღებმა 2010 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში განიცადა.





სატელიტური სურათი 3. დიღმის ჭალების ტერიტორია 2020 წლის მაისში

როგორც სატელიტური სურათებიდან ჩანს, 2010 წლისთვის ჭალის ტერიტორიას თითქმის სრულად ჰქონდა შენარჩუნებული ბუნებრივი ეკოსისტემა, ტყისა და მდელოს მცენარეული საფარი, ტერიტორიის ერთ უბანზე მიმდინარეობდა წიაღისეულის ღია კარიერული მოპოვება. 2020 წლის მაისისთვის ჭალის ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთლიანად დეგრადირებულია, დეგრადირებულ არეალზე აღარ არსებობს არც ტყის საფარი და არც ბალახეულობა, ნიადაგი სრულად გაუვარგისებულია. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ამგვარი დეგრადაცია განსაკუთრებით უკანასკნელი წელიწადის შედეგია.

ქვემოთ მოცემული სატელიტური სურათი 4 და 5 ერთ წელზე ნაკლები დროის ინტერვალში, 2019 წლის ივლისში და 2020 წლის აპრილშია გადაღებული. ფოტოსურათების შედარებისას კარგად ჩანს, რომ 2019 წლისთვის ჭალის ტყეების უკიდურეს მარცხენა ნაწილში ტყის მასივი ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი და ნიადაგიც არ იყო სრულად დეგრადირებული. თუმცა, 2020 წლის გაზაფხულისთვის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა გაუარესებული: ტყის ის ნაწილი, რომელიც 2019 წელს ჯერ კიდევ არსებობდა მთლიანად განადგურებულია, ნიადაგი კი წიაღისეულის ღია კარიერული მოპოვების და დასაწყობების შედეგად სრულად გაუვარგისებულია. ამასთან, ჭალის ტყის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორია ქვიშა-ხრემის მოპოვების შემდგომ ღიად დატოვებული კარიერებით არის დაფარული და მცენარეული საფარი ინერტული მასალის გროვებს აქვს ჩანაცვლებული. სატელიტური ფოტოსურათი ჭალის რეალურ მდგომარეობას სრულად კიდევ ვერ ასახავს და რეალობაში ის ბევრად მძიმეა.



ტალების მიმდებარე ტერიტორიაზე ახლადაშენებული საცხოვრებელი კომპლექსის „მწვანე ალმასის“ მაცხოვრებლები საუბრისას იხსენებენ, რომ აღნიშნულ უბანში საცხოვრებლად გადმოსვლილას მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტალის იერსახე მისი დღევანდელი იერსახისგანსრულიად განსხვავებული იყო. ამ ტერიტორიაზე სახლის

ყიდვის გადაწყვეტილების მიღებაშიც უმთავრესი წვლილი სიმწვანემ, უნიკალურმა ტყემ, ურბანული გარემოსაგან სრულიად განსხვავებულმა ბუნებრივმა გარემომ და ქალაქის კლიმატისგან მკაფიოდ გამიჯნულმა მიკროკლიმატმა განაპირობა, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებშიც კი უნარჩუნებს ჭალას სიგრილეს.

კომპლექსის მაცხოვრებელთა თქმით, ის გარემო, რომელმაც ისინი ამ ტერიტორიაზე საცხოვრებლად მოიზიდა, დღეისთვის თითქმის სრულად გარდაქმნილია, ეს სახეცვლილება კი დაახლოებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა. სწორედ ამ სამწუხარო რეალობამ და სახელმწიფოსა თუ მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოჩენილმა გულგრილობამ აიძულა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, რომ დიღმის ჭალების გადასარჩენად აქტივისტური მოძრაობისთვის ჩაეყარათ საფუძველი და საკუთარი ძალებით ებრძოლათ ჭალის ეკოსისტემის დასაცავად.

მომდევნო ქვეთავებში აღწერილია ის საქმიანობები/პროცესები, რომელთაც გამოიწვიეს დიღმის ჭალების ეკოსისტემის გარდაქმნა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, კერძოდ: უკანონო დანაგვიანება, წიაღისეულის ღია კარიერული მოპოვება, დასაწყობება და გადამუშავება.

1.4.1. სტიქიური უკანონო ნაგავსაყრელი და მოსალოდნელი საფრთხეები

დიღმის ჭალებში დღეისთვის სამი ძირითადი პრობლემა ფიქსირდება, რომელიც სხვა გვერდით პრობლემებს წარმოშობს და მომავალში უფრო დიდი ეკოლოგიური კატასტროფის სერიოზულ საფრთხეს ქმნის. დიღმის ჭალების ტერიტორიაზე არსებული უპირველესი გარემოსდაცვითი გამოწვევა ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურებაა. ჭალების ძალიან ვრცელ არეალზე, ტექნოლოგიური ინსტიტუტის კარკასსა და გლდანის ხიდს შორის მდებარე მუნიციპალური და სახელმწიფო ნაკვეთების სხვადასხვა უბანზე სტიქიური, უკანონო ნაგავსაყრელებია წარმოქმნილი, რომლებსაც ყოველდღიურად ემატება სხვადასხვა ტიპის ახალ-ახალი ნარჩენები. ადგილობრივმა აქტივისტებმა მოძიებული სატელიტური ფოტოებისა და დრონით გადაღებული აეროფოტოსურათების საშუალებით, მოახდინეს დანაგვიანებული ფართობის ანალიზი და დაითვალეს, რომ ჯამურად დიღმის ჭალების ტერიტორიაზე დაბინძურებულია 40 ჰექტარამდე ტერიტორია და განთავსებულია 400 000 მ³-ზე მეტი ნარჩენი.

ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნა ძირითადად 2016 წლიდან დაიწყო, ანუ მას შემდეგ, რაც დიღმის ჭალების ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში, სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე ტექნოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. მართალია, დღეს ინსტიტუტის მშენებლობა შეჩერებული და მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია მიტოვებულია, თუმცა ადგილობრივების განცხადებით, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სწორედ აღნიშნული მშენებლობის პროცესში გახდა ცნობილი დიღმის ჭალების სანაგავსაყრელო ტერიტორიად გამოყენების „პოტენციალის“ შესახებ.

დღესდღეობით, ტერიტორიაზე ადგილ-ადგილ შევხვდებით თითქმის ყველანაირი ტიპის დიდი რაოდენობით ნარჩენს, მათ შორის, ინერტულ, სამშენებლო, მუნიციპალურ,



სატელიტური სურათი ნ. დანაგვიანებული ზონები დიღმის ქალებში.

საკოფაცხოვრებო და სპეციფიკურ ნარჩენებსაც კი (ძრავის ზეთი, მამუთი, საბურავი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები). ტერიტორიაზე მოხვედრილი ნარჩენების წყარო სხვადასხვაა. აქ ვხვდებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა უბნებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მორჩენილ სამშენებლო ნაგავს, კომპანიების/საწარმოების მიერ შემოტანილ ინერტულ თუ საოფისე ნარჩენებს. ნარჩენების უკანონოდ და ყოველგვარი გადასახადის გარეშე, შუაგულ ქალაქში განთავსების შესაძლებლობის შესახებ საზოგადოების იმდენად ფართო მასებისთვისაა ცნობილი, რომ აქ კერძო ინდივიდებსაც კი შემოაქვთ სამშენებლო/სარემონტო ნარჩენები. ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მანამ სანამ ისინი ტერიტორიის დასაცავად აქტიურობას დაიწყებდნენ და სხვადასხვა უწყებებს მიმართავდნენ საჩივრებით, ჭალის ტერიტორიაზე ნაგვის შემოტანა იმდენად გახშირებული იყო, რომ წუთში ინერტული ნარჩენით დატვირთული რამდენიმე სატვირთო მანქანა შემოდიოდა. აქტივისტები იმასაც ამბობენ, რომ ნარჩენების ჩამოცლის შემდეგ სატვირთოები ტერიტორიიდან ქვიშა-ხრეშით დატვირთულები მიდიან და კორუფციული სქემის შესაძლო არსებობას აღნიშნავენ.

მე-ნ სატელიტურ სურათზე სხვადასხვა ფერებადაა შემოსაზღვრული დანაგვიანებული ზონები. ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიმდებარედ ლურჯად მოხაზული გაუტყეურებული ტერიტორია, რომელზეც სამშენებლო ნაგვის შეტანა დაიწყო 2017-2018 წლიდან, შეადგენს 10 ჰექტარს (იხ. ფოტომასალების დანართი), მწვანედ შემოსაზღვრული სამშენებლო ნაგვით ამოვსებული კარიერის ტერიტორია შეადგენს 13 ჰექტარს (იხ. ფოტომასალების დანართი), ყვითლად შემოსაზღვრული ტერიტორიები არის დასაწყობებული ქვა-ღორღის გორები და შეადგენს 3 ჰექტარს, ხოლო ინერტული და სხვა ტიპის ნარჩენებით დანაგვიანებული დანარჩენი უბნები საერთო ჯამში შეადგენს 14 ჰექტარს და შემოსაზღვრულია წითელი ფერის ხაზებით.



სურათი 8, 9 და 10. დიღმის ჭალების ტერიტორიაზე განთავსებული სამშენებლო და ინერტული ნარჩენები, რომლებიც დიდი რაოდენობით მძიმე მეტალებს, სახიფათო ნივთიერებებსა და კარცეროგენულ ნაწილაკებს შეიცავს. ივნისი, 2020 წელი




სურათი 11. ნარჩენი ბორბლები



სურათი 12. უბნების რეაბილიტაციის შედეგად მორჩენილი ნარჩენები



სურათი 13. სატვირთო ავტომობილი დიღმის ჭალების ტერიტორიაზე ინერტული ნარჩენების განთავსებისას, ივლისი, 2020 წელი



სატელიტური სურათი 7. სატვირთო ავტომობილები დიღმის ჭალების ტერიტორიაზე ნარჩენების შემოტანისას. 10 აპრილი, 2020

უკანონო ნაგავსაყრელის არსებობასთან დაკავშირებული საფრთხე

დიღმის ჭაღების ტერიტორიაზე სტიქიური, უკანონო ნაგავსაყრელების არსებობა არაერთ საფრთხეს წარმოშობს, როგორც ჭაღების ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნებისთვის, ისე ადამიანების ჯანმრთელობისათვის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჭაღის ტყის უდიდესი ნაწილი ინერტული და სხვა ტიპის ნარჩენების გორებშია ჩაფლული, რაც იწვევს ლანდშაფტის მექანიკურ დაზიანებას, ნიადაგის მიკროფლორის დარღვევასა და ხეების და სხვა მცენარეულობის განადგურებას. ხეები, ისევე როგორც სხვა მცენარეები ფესვების საშუალებით შთანთქამენ სიცოცხლისთვის საჭირო ყველა საკვებ ნივთიერებას, ე.წ ნუტრიენტებს, მცენარის ნუტრიენტებით მორაგება კი მხოლოდ ნაყოფიერ ნიადაგს შეუძლია. იმისათვის, რომ ნიადაგი ნაყოფიერი იყოს, აუცილებელია მიმდინარეობდეს ნიადაგსა და მცენარეულ/ცხოველურ ორგანიზმებს შორის ნივთიერებათა მუდმივი ცვლა, ე.წ ნივთიერებათა ბიოლოგიური წრებრუნვა. ნიადაგი მცენარეებისთვის გამოსადგები სწორედ მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების დაშლის, ნიადაგში მოხვედრის და მასში კვების ელემენტების დაგროვების შედეგად ხდება. გარდა საკვები ნივთიერებების მიწოდების შეფერხებით-



სურათი 14. ინერტულ და სამშენებლო ნარჩენებში ჩამარხული ვერხვი 5 დეკემბერი, 2020 წელი
საკვლე გასვლისას გადაღებული ფოტოსურათი

სა, ნარჩენების გროვები აფერხებს წყლის მოხვედრას ნიადაგის ნაყოფიერ ფენებში, ეს კი მნიშვნელოვნად ართულებს მცენარის მიერ ნუტრიენტების შეწოვას, რადგანაც საკვები ელემენტები ნიადაგში მყარი ნაწილაკების სახით არსებობს, მცენარეებისთვის მათი შეწოვა კი მხოლოდ წყალში გახსნილი ფორმით არის შესაძლებელი. ინერტული, სამშენებლო და სხვა სახის ნარჩენები, რომლებიც დილმის ჭალების საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა განთავსებული, შეუძლებელს ხდის ზემოაღწერილი პროცესის მიმდინარეობას, რაც ხეებსა და სხვა მცენარეებს, ფაქტობრივად, არსებობის წყაროს გარეშე ტოვებს და მათი ხმობა მხოლოდ დროის საკითხიდა ხდება.



სურათი 15. ინერტულ და სამშენებლო ნარჩენებში ჩამარხული ხეები
5 დეკემბერი, 2020 წელი
საველე გასვლისას გადაღებული ფოტოსურათი



სურათი 16. ინერტულ ნარჩენებში ჩაფლული ხეები
5 დეკემბერი, 2020 წელი
საველე გასვლისას გადაღებული ფოტოსურათი

გარდა იმისა, რომ დილმის ჭალებში ნარჩენების უკონტროლო, სტიქიური და უკანონო განთავსება შეუქცევად ზიანს აყენებს ნიადაგსა და მცენარეულობას, ის ასევე დიდ საფრთხეს უქმნის ჭალების ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში და ჭალის კუნძულზე მცხოვრები ფაუნის წარმომადგენლებს. დილმის ჭალების ნაგავსაყრელი მდინარე მტკვრის დაბინძურების სერიოზულ პრობლემას წარმოშობს. მდინარე შესაძლოა დაბინძურდეს ორი გზით: 1. წვიმის შედეგად ნაგავსაყრელიდან ნიადაგში ჩაიღვაროს ნარჩენების გამონაჟონი და შედეგად მოხდეს ჯერ მიწისქვეშა წყლების, ხოლო მათი მდინარეში მოხვედრის შემდეგ მდინარე მტკვრის დაბინძურება 2. ნაგავსაყრელის ტერიტორიის წვიმის წყლით წარეცხვის ან დატბორვის შედეგად პირდაპირ მდინარეში მოხვდეს სახიფათო ნივთიერებები და ნარჩენები. გარდა ამისა, ხშირად ტერიტორიაზე ნაგვის განსათავსებლად მოსული სატვირთოები ნაგავს პირდაპირ მტკვარში ან მის ნაპირას ყრიან (იხ. სურათი 17). ნებისმიერ შემთხვევაში, ნარჩენებისა და სახიფათო ნივთიერებების მდინარეში მოხვედრა უდიდეს საფრთხეს უქმნის წყლის ბინადრებს, მათ შორის წავებს, რომლებიც დაბინძურების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადები

არიან¹⁷, ასევე ფრინველებსა და ცხოველებს, რომლებიც მდინარის წყალს იყენებენ სასმელად. მტკვარზე სამოყვარულო თევზჭერა საკმაოდ განვითარებულია, როგორც მდინარის სანაპიროებზე ქალაქ თბილისში, ისე ქალაქ რუსთავში და წყლის დაბინძურება, რა თქმა უნდა, საფრთხეს შეუქმნის კვებით ჯაჭვში ჩაბმულ ადამიანებსაც, რომლებმაც შესაძლოა მომწამვლელი ნივთიერებებით დაბინძურებული თევზები გამოიყენონ საკვებად. ამასთან, ჭალის ტერიტორიაზე ნარჩენების უკონტროლო განთავსება აქ მცხოვრები ცხოველებისთვის ჰაბიტატის ფართობის მნიშვნელოვან შემცირებასა და ფრაგმენტაციას იწვევს.



სურათი 17. პირდაპირ მტკვარში განთავსებული ინერტული ნარჩენი

დიღმის ჭალების ნარჩენებით დაბინძურების პრობლემა საკანონმდებლო ჭრილში

დიღმის ჭალების დაბინძურების პრობლემის საკანონმდებლო ჭრილში შესაფასებლად, განვიხილოთ „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.

17. პირადი ინტერვიუ კახა არცივაძესთან. 2021 წლის 23 იანვარი.



სურათი 18 . მეთევზე მტკვრის სანაპიროზე, დიღმის ტალღებში

- საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი¹⁸

საქართველოს ნარჩენების კოდექსის მიხედვით, დანაგვიანება არის „ნარჩენის (ნარჩენების) გარემოში დაგდება (დაყრა), გადაგდება (გადაყრა) ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ“¹⁹. დანაგვიანების აღნიშნული განმარტებით, ის პროცესი, რომელიც დიღმის ტალღებში ნარჩენებით განთავსების კუთხით მიმდინარეობს, ნამდვილად წარმოადგენს დანაგვიანებას, რადგანაც ის ხდება ნარჩენების შეგროვების ობიექტის (კანონიერად რეგისტრირებული ნაგავსაყრელის) გარეთ და სტიქიურად.

კოდექსის მე-8 მუხლით, დანაგვიანება აკრძალულია, ხოლო ის „მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაც დანაგვიანდა, უფლებამოსილია მოსთხოვოს დამნაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დამნაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს“. მე-8 მუხლი შეეხება კერძო საკუთრებაში არმყოფი ტერიტორიის დანაგვიანებასაც. თუ

18. საქართველოს კანონი „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=1>

19. საქართველოს კანონი „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი“. მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტი.

დაბინძურებული ტერიტორია კერძო საკუთრებაში არაა, მისი დასუფთავების ვალდებულება თავად მუნიციპალიტეტს ეკისრება. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევას აქვს ადგილი დიღმის ჭალების ტერიტორიაზე. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ მუნიციპალიტეტმა კოდექსით დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს და ტერიტორია დაასუფთაოს, ადგილობრივების თქმით, მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული პასუხისმგებლობის აღებაზე უარს აცხადებს და განმარტავს, რომ აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავება მის კომპეტენციაში არ შედის და პასუხისმგებლობას ვერც შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს აკისრებს, რომელიც ამ ვალდებულებას შეასრულებს.

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-10 თავში ასევე მოცემულია ნარჩენების უკანონო განთავსებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. აღნიშნული სამართალდარღვევები მოიცავს როგორც მუნიციპალური, ისე სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებას. კოდექსის აღნიშნულ თავში მოცემული ყველა დარღვევა ითვალისწინებს დამრღვევი ფიზიკური თუ იურიდიული პირის დაჯარიმებას ნარჩენების მოცულობისა და ტიპის შესაბამისად 500-დან 15000 ლარამდე ოდენობით. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც შესაბამისი მუნიციპალური ისე სახელმწიფო ორგანოებისთვის ადამიანური რესურსების ძალიან შეზღუდული რაოდენობით ტერიტორიის მუდმივი კონტროლი შეუძლებელია და უმრავლეს შემთხვევაში ტერიტორიის დანაგვიანებაზე პასუხისმგებელი პირი ვერ ვლინდება, კანონის შესაბამისად კანონდარღვევაზე რეაგირება და კანონდამრღვევების დასჯა არ ხდება. სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია იმ მავნე ტენდენციის ჩამოყალიბება, რომ დღეს, დიღმის ჭალების ნაგავსაყრელი საზოგადოდ ცნობილ სტიქიურ ნაგავსაყრელადაა ქცეული, სადაც ნებისმიერი სახისა და რაოდენობის ნარჩენის განთავსებას ნებისმიერი ინდივიდი თუ კერძო კომპანია ახერხებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მუნიციპალური ინსპექციისა და გზდ-ის ადამიანური რესურსების გამზრდა/გაძლიერება და ზედამხედველობის გამკაცრება, თუმცა მხოლოდ აქტიური კონტროლი, რა თქმა უნდა, სასურველ შედეგს არ გამოიღებს, სახელმწიფოს მხრიდან პრევენციის ეფექტური ზომების დანერგვაც უკიდურესად მნიშვნელოვანია.

- ტექნიკური რეგლამენტი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“²⁰

როგორც ნაგავსაყრელის პრობლემის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელსაც დიღმის ჭალებში უკანონო დანაგვიანების პროცესი წარმოშობს, ნიადაგის და მიწისქვეშა თუ ზედაპირული წყლების დაბინძურებაა. აღნიშნულ საკითხს „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი ეხება. რეგლამენტში ნათქვამია, რომ ნაგავსაყრელის მოწყობისთვის ადგილმდებარეობა ისე უნდა იქნას შერჩეული, რომ გათვალისწინებული იყოს „წყალმოვარდნის, ნიადაგის დაწევის, მეწყერებისა ან ზვა-

20. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №421 „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2946318?publication=0>

ვების საშიშროება“, ასევე „ზედაპირული წყლების დაბინძურების საშიშროების, დაცული ტერიტორიების, ბუნების ან კულტურის ძეგლების არსებობა“²¹. გარდა ამისა, ნაგავსაყრელის ფორმა/სტრუქტურა იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ დაცული იყოს ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების პრევენციის პირობები და უზრუნველყოფილ იქნას გამონაჟონის ეფექტური შეგროვება²². გამონაჟონის ეფექტურად შესაგროვებლად მოწყობილი უნდა იყოს სადრენაჟო სისტემა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. სადრენაჟო სისტემა განკუთვნილია ნაგავსაყრელის ფსკერიდან გამონაჟონის შეგროვების, მისი რეცირკულაციისა ან ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისკენ მიმართვისათვის²³. ამასთან, ნაგავსაყრელი დაპროექტებული და აშენებული უნდა იყოს ისე, რომ მისი ვერტიკალური სიმაღლე და ტოპოგრაფიული კონფიგურაცია უზრუნველყოფდეს ნაგავსაყრელის ტერიტორიის დაცვას ზედაპირული წყლებით დატბორვისგან²⁴.

რა თქმა უნდა, არცერთი ზემოაღნიშნული პირობა ნარჩენების გამონაჟონისგან ნიადაგისა თუ წყლის დასაცავად დიდიმის ჭალებში უზრუნველყოფილი არ არის, რაც მეტყველებს დაბინძურების მაღალი საფრთხის არსებობაზე, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ჭალების ნაგავსაყრელი პირდაპირ მდინარე მტკვრის ნაპირას მდებარეობს, სადაც ძალიან მაღალია როგორც გამონაჟონის მიწისქვეშა წყლებში და შემდეგ მდინარეში მოხვედრის, ისე წვიმის შედეგად დაბინძურების მდინარეში ჩარეცხვის ან ნაგავსაყრელის დატბორვის ალბათობა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ნარჩენების შეტანა ნაგავსაყრელზე აბსოლუტურად უკონტროლოდ ხდება და არავის აქვს ინფორმაცია თუ რა ტიპის ნარჩენები ხვდება ტერიტორიაზე. არსებობს დიდი საშიშროება, რომ ჭალები სახიფათო თუ სამედიცინო ნარჩენებითაც კი იყოს დაბინძურებული, რაც პრობლემას კიდევ უფრო გაამწვავებს.

1.4.2 ბალასტის ღია კარიერული მოპოვება, დასაწყობება და გადამუშავება

ნარჩენების უკანონოდ განთავსებასთან ერთად, კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც ჭალების ტერიტორიაზე არსებობს სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ, ქვიშა-ხრემის ღია კარიერული წესით მოპოვებაა. დღეისთვის, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჭალების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ამავე ტერიტორიაზე მოპოვებული ქვა-ღორღის განთავსებისა და წიაღისეულის მოპოვების შედეგად ღიად დარჩენილი კარიერების არეალს. ტერიტორიის ფართობი, რომელზეც ღია კარიერული

21. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №421 „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მე-9, მე-4 პუნქტი, „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2946318?publication=0>

22. „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მე-12 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

23. „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მე-20 მუხლი.

24. „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მე-10 მუხლი, „დ“ პუნქტი.

მოპოვება განხორციელებული ჯამში შეადგენს 13 ჰექტარს, ხოლო დასაწყობებულ ინერტული მასალა ფარავს 3 ჰექტარი ფართობის ტერიტორიას²⁵.

წიაღისეულის ღია კარიერული მოპოვების სამუშაოები და მათთან დაკავშირებული საეჭვო გარემოებები

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ბალასტის მოპოვების სამუშაოები ამ ტერიტორიაზე განსაკუთრებით უკანასკნელი წლის განმავლობაში, დაახლოებით 2019 წლის გაზაფხულიდან გააქტიურდა და ერთი წლის განმავლობაში წიაღისეულის უკონტროლო და ძალიან დიდი რაოდენობით მოპოვებისა და განთავსების შედეგად, ჭალის ტერიტორიის ძალიან დიდი ნაწილი განადგურდა. აღნიშნულ ფაქტს აეროფოტოსურათებიც ადასტურებს, რომლებიც ნაშრომის გემო ნაწილშია წარმოდგენილი (იხ.სურათი 4 და 5). ფოტოსურათებში კარგად ჩანს ტერიტორიის გარდაქმნა 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივლისამდე პერიოდში.

ჭალების ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და განთავსების კუთხით არსებული მდომარეობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით დიღმის ჭალების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა შესაბამის ორგანოებს რამდენჯერმე მიმართეს. ცხელ ხაზზე შესული შეტყობინებებისა და 2020 წლის 8 აგვისტოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (შემდგომში დეპარტამენტი ან გზდ) გაგზავნილი წერილობითი განცხადების პასუხად, გზდ-მ მოახდინა დიღმის ჭალების ტერიტორიის დათვალიერება და ინსპექტირების შედეგები საპასუხო წერილის²⁶ სახით წარმოადგინა.

გზდ-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ოლიმპიური სოფლის მიმდებარედ, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასაზე სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ, ქვიშა-ხრემის მოპოვებას ახორციელებს შპს „იბერია-მშენი“. აღნიშნულ საქმიანობას კომპანია ახორციელებს 2006 წელს შპს „გრავის“ სახელზე 20 წლის ვადით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 00267 ლიცენზიის ფარგლებში. გზდ-ის ინფორმაციით, ამ ორ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „გრავიმ“ ლიცენზია შპს „იბერია-მშენს“ მიჰყიდა 2014 წელს გაფორმდა, თუმცა, **ლიცენზიის გასხვისების კანონიერება ეჭვქვეშ დგას** იმის გათვალისწინებით, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „ლიცენზიის ან მისი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესაბამისი საბუთები წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს. ლიცენზიის გამცემს 10 კალენდარული დღის ვადაში შეაქვს ცვლილებები სალიცენზიო რეესტრში და გასცემს სათანადო სალიცენზიო მოწმობას“²⁷. ამასთან,

25. სატელიტური და აეროფოტოსურათების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები.

26. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს.

27. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. მე-20 მუხლი, მე-2 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91>

„ლიცენზიის მიმღები უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი სარგებლობა მხოლოდ სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების, კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულების აღებისა და ლიცენზიის გამცემისათვის სარგებლობის ლიცენზიის გადაცემის შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ²⁸“. **წიალის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის მონაცემებით, შპს „იბერია-მშენი“ სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიას არ ფლობს²⁹**. გარდა ამისა, „შპს“ გრავის მიერ შევსებულ ყოველწლიურ ანგარიშგების ფორმებში, რომლის წარმოების ვალდებულება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით წიალისეულის მოპოვებელ ყველა სუბიექტს აკისრია, კარგად ჩანს, რომ შპს „გრავის“ მიერ 2015 წლიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვება არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნული ფაქტები, ცხადყოფს, რომ „იბერია-მშენსა“ და „გრავის“ შორის ლიცენზიის გასხვისების ხელშეკრულება არ ყოფილა კანონიერი და, შესაბამისად, „იბერია-მშენის“ მიერ აღნიშნულ სალიცენზიო ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვება კანონდარღვევაა.

ამასთან, გზდ-სგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ტერიტორიაზე განთავსებული ინერტული მასალა შპს „იბერია-მშენის“ გარდა, ეკუთვნის კიდევ ორ კომპანიას - შპს „გ.რ მოტორსს“ და შპს „ლიდერ-ბეტონს“, სამივე მათგანს ერთი მეპატრონე ჰყავს. მესაკუთრის განცხადებით, მოცემულ კომპანიებს ინერტული მასალა შესყიდული აქვთ სხვადასხვა კომპანიებისგან, ხოლო შპს „იბერია-მშენს“ ინერტული მასალის მოპოვება განხორციელებული აქვს ლიცენზირებული ფართობებიდან. გზდ-ის მიერ ტერიტორიის ინსპექტირების და მოპოვებული დოკუმენტაციის, მათ შორის, გადაღებული ფოტო-მასალისა და განთავსების GPS კოორდინატების დამუშავება-შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ინსპექტირების მომენტისათვის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 171 460 მ³ ინერტული მასალა. ამასთან, დეპარტამენტის საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ მოპოვებული და დასაწყობებული ინერტული მასალის მოცულობის შესახებ ინფორმაცია გადამოწმდა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე სამივე კომპანიის სასაქონლო ზედნადებების შესწავლის საფუძველზე და დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „იბერია-მშენს“ განთავსებული აქვს 122 670 მ³ ინერტული მასალა, ხოლო დარჩენილი რაოდენობა (44 670მ³ და 4 501 მ³) ეკუთვნის დანარჩენ ორ კომპანიას. **იმ შემთხვევაშიც თუ იბერია-მშენისთვის გადაცემულ ლიცენზიას და მის საქმიანობას კანონიერად მივიჩნევთ, მის მიერ დიღმის ტალეების ტერიტორიაზე მოპოვებული ინერტული მასალის მოცულობა საგრძნობლად სცდება ლიცენზიის პირობებით დადგენილ მოპოვების ჯამურ მოცულობას.** აღნიშნული ლიცენზიის მიხედვით, სამშენებლო ქვიშა-ხრემის მოპოვების ჯამური რაოდენობა 20 წლის განმავლობაში განსაზღვრულია 80 000 მ³-ით, მხოლოდ ამ მომენტისთვის კი კომპანიას 122 670 მ³ ინერტული მასალა აქვს ტერიტორიაზე განთავსებული და საგრძნობლად არის გადაცდენილი ლიცენზიის პირობებით დადგენილი სამთო მინაკითვის არეალს -1.73 ჰა-ს.

28. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. მე-20 მუხლი, მე-4 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91>

29. სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 13 ოქტომბრის # 22/417 წერილი “მწვანე ალმასის“ საცხოვრებელი კომპლექსის მოსახლეობის წარმომადგენელს ქალბატონ მარიამ მაღრაძეს.

გარდა ამისა, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ტერიტორიის დათვალიერებით გაირკვა, რომ დიღმის ჭაღების კიდევ სამ სხვა უბანზე მოპოვებული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობით ქვიშა-ხრეში, აღნიშნული უბნებიდან არცერთზე არ არის გაცემული მოპოვების ლიცენზია. დეპარტამენტისვე ცნობით, I უბანზე მოპოვებული წიაღისეულის მოცულობა შეადგენს 63 918 მ3-ს (გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხა - 64 118 ლარი), II უბანზე - 109 653 მ3 (ზიანი - 109 853 ლარი), III უბანზე მოპოვებული წიაღისეულის მოცულობა კი შედარებით უმნიშვნელოა. გზდ-ის ცნობით, აღნიშნულ უბნებზე წიაღისეულის უკანონოდ მოპოვებელი/ები იდენტიფიცირებულნი არ არიან, თუმცა ჩნდება კითხვა - აღნიშნულ უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება „იბერია-მშენის“ მეგობარი ორი კომპანიის მიერ ხომ არ განხორციელდა? სადავო რამდენადაა ამ კომპანიების მფლობელობაში არსებული დასაწყობებული ინერტული მასალა მართლაც შექმნილი და არა გამოვლენილ სამ უბანზე მოპოვებული. ეჭვი განსაკუთრებით საფუძვლიანი ჩანს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უბნები გრუნტის სამანქანო გზით პირდაპირ უკავშირდება არეალს, სადაც იბერია-მშენსა და მის მეგობარ კომპანიებს აქვთ დასაწყობებული ინერტული მასალა. აღსანიშნავია, რომ შესაძლო კავშირის დასადგენად ქანების შედარებითი ანალიზი დეპარტამენტს ჩატარებული არ აქვს.

პრობლეურია ის საკითხიც, რამდენად სათანადოდ იყო შესწავლილი ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურებები და ქვიშა-ხრეშის მოპოვების შედეგად მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეები შპს „გრავიზე“ 2006 წელს ლიცენზიის გაცემის პროცესში. წიაღისეულის მოპოვების სექტორში პოტენციური ეკოლოგიური რისკების კომპლექსური შეფასება საქართველოსთვის ზოგადად ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს, რასაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშიც³⁰ მოწმობს. შესაბამისი უწყების მხრიდან იმის შეფასება, თუ რა პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მოპოვებითი საქმიანობა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე სათანადოდ არასდროს ხორციელდება. შესაბამისად, ლიცენზიის გაცემისას სრულად ვერ ვლინდება ის საფრთხეები, რომელთა გათვალისწინების, თავიდან არიდებისა თუ შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და შესაბამისი პირობების ლიცენზიაში ჩადებაა აუცილებელი.

2018 წელს ჩატარებული 2014-2017 წლების აუდიტის ანგარიშის შედეგების მიხედვით, წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო პირობები ზოგადია და მასში არ არის ასახული ის ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც საჭიროა ლიცენზიანტის მხრიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში გარემოზე მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისათვის. შპს „გრავიზე“ 2006 წელს ლიცენზიის გაცემაც მხოლოდ გეოლოგიური დასკვნის³¹ საფუძველზე მოხდა. გეოლოგიური დასკვნები ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიის ვიზუალურ შეფასებასა და ფონდურ მონაცემებზე დაყრდნობით მომზადებულ გეოსაინფორმაციო

30. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. 2018 წლის 30 მარტი. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://sao.ge/files/audit/auditis-angarishebi/2018/sasargeblo-ciagiseulis-mopoveba.pdf>

31. სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“. გეოლოგიური დასკვნა სალიცენზიო ობიექტის შესახებ. მოწოდებულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ.

პაკეტს. თუმცა, ის საფონდო მასალები, რომლებიც დასკვნის გაცემისთვის გამოიყენება მოძველებულია და ძირითადად წინა საუკუნის 70-80-იან წლებში გამოცემული გეოლოგიური ანგარიშებიდან არის აღებული. პაკეტების მომზადებისას ასევე გამოიყენება საბჭოთა პერიოდის ტოპოგრაფიული რუკები, თანამედროვე სატელიტური რუკების ნაცვლად³². აღნიშნული ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს შპს „გრაფიკ“ 2006 წელს გაცემული ლიცენზიის პირობების მართლზომიერებას და, ზოგადად, ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობას, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მდინარეების ჭალა-კალაპოტებში ქვიშა-ხრეშის მოპოვება გეოლოგიური თვალსაზრისით დასაშვები მხოლოდ ჭარბ აკუმულაციურ უბნებზეა, საიდანაც შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვით ქვიშა-ხრეშის ამოღება ხელს უწყობს მდინარეების ჰიდროდინამიკური მდგომარეობის გაჯანსაღებასა და კალაპოტის გამტარუნარიანობს გაზრდას. თუმცა, იმის დადგენა მიეკუთვნება თუ არა მდინარე მტკვრის კალაპოტის აღნიშნული მონაკვეთი ჭარბად აკუმულაციურ უბანს, შეიძლება თუ არა მასზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება და თუ შეიძლება რა მასშტაბით, ინფორმაციის მოპოვება ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებების თაობაზე და სხვა ისეთი საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც გულისხმობს წიაღისეულის მოპოვებით გამოწვეული რისკების შეფასებას და მიმართულია გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არიდებისკენ, სათანადოდ უნდა მომხდარიყო გეოლოგიური დასკვნის გაცემამდე.

აღნიშნული საკითხების გარდა, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმაც, რომ დიღმის ჭალების ტერიტორია, ზოგადად, დგას ქვიშა-ხრეშის უკანონო ექსპლუატაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევების არსებობის პრობლემის წინაშე. დეპარტამენტის მონაცემებით³³, ჯერ მარტო 2017-2020 წლებში დიღმის საცდელი-სასწავლო მეურნეობის ტერიტორიაზე სამშენებლო და ინერტული მასალით დაბინძურების 38 სამართალდარღვევის ფაქტი იქნა გამოვლენილი, თუმცა ვერცერთ მათგანზე კანონდამრღვევის გამოვლენა ვერ მოხერხდა. მდინარეების ნაპირებსა და ჭალებში ქვიშა-ხრეშის უკანონო მოპოვება საქართველოსთვის, ზოგადად, ძალიან პრობლემური საკითხია და არაერთი დიდი თუ მცირე ზომის მდინარის ნაპირია განადგურებული წიაღისეულის უკანონო მოპოვების შედეგად, თითოეული აღნიშნული ფაქტი კი, როგორც ამ ტერიტორიების ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას, ისე ბუნებრივ გარემოს, უდიდეს ზიანს აყენებს. ამ მიმართულებით, სახელმწიფოს, უფრო კერძოდ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის როლისა და შესაძლებლობების გაძლიერება უკიდურესად მნიშვნელოვანია. კანონდარღვევის ტერიტორიაზე პოსტ-ფაქტუმ მისვლა და უკანონო მოპოვების შემთხვევის მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებში მითვლა დაზიანებულ ტერიტორიას პირვენდელი მდგომარეობის დაბრუნებაში ვერ ეხმარება, თუმცა იმ ძალიან უარყოფითი ტენდენციის ჩამოყალიბებას, რომ კანონდამრღვევის გამოვლენა სახელმწიფოსთვის ძალიან რთულ საქმეს წარმოადგენს კი ცალსახად უწყობს ხელს.

32. მახარაძე, გ. ქვიშა-ხრეშის მოპოვების პრაქტიკა გურიის რეგიონში: მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები.

33. გარემოდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს.

ქვიშა-ხრეშის მოპოვებისა და დასაწყობების შედეგად დიღმის ჭალების ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი

გარდა იმისა, რომ დიღმის ჭალების ტერიტორიაზე ქვა-ღორღის მოპოვების მიზნით განხორციელებული თუ მიმდინარე სამუშაოები უკანონოა და მხოლოდ ეს მიზეზიც საკმარისია იმისათვის, რომ სახელმწიფომ გაატაროს შესაბამისი ზომები მათ აღსაკვეთად, აღნიშნული საქმიანობები ძალიან დიდ, შეიძლება ითქვას შეუქცევად ზიანს აყენებს ჭალების უნიკალურ ეკოსისტემას, ჭალის ტყეებს, უკარგავს ტერიტორიას ძალიან დიდ პოტენციალს, განვითარდეს ქალაქ თბილისის მასშტაბით ყველაზე გამორჩეულ და დიდ სარეკრეაციო სივრცედ და უდიდეს საფრთხეს უქმნის ჭალებში გავრცელებული სახეობების არსებობას მათთვის ხელსაყრელი ჰაბიტატების განადგურებით.

ტერიტორიაზე მოპოვებული ქვიშა-ხრეშის დასაწყობების შედეგად, ჭალის ტყის დიდი ნაწილი ინერტული მასალის გორებშია ჩაფლული. როგორც ანგარიშის ზემო ნაწილში უკვე ნახსენებია, მოპოვებითი სამუშაოები ჭალების ტერიტორიის 13 ჰექტარზე განხორციელებული, ხოლო ქვიშა-ხრეში 3 ჰექტარზე დასაწყობებული. შედეგად, ასეულობით ხე ქვიშა-ხრეშის გროვებშია ჩამარხული, რითაც საკვები და, შესაბამისად, სასიცოცხლო წყარო აქვს წართმეული.



სურათი 19. დიღმის ჭალების ვრცელ ტერიტორიაზე დასაწყობებული წიაღისეული

წყარო: Storgaard Photography, THE TRAGEDY OF DIGHOMI MEADOWS



სურათი 20. ქვიშა-ხრეშში ჩაფლული ხეები
წყარო: Storgaard Photography, THE TRAGEDY OF DIGHOMI MEADOWS



სურათი 21. ქვიშა-ხრეშში ჩაფლული ხეები
ივლისი, 2020 წელი
ადგილობრივი მაცხოვრებლის მიერ გადაღებული ფოტო



სურათი 22-23. ქვიშა-ხრემის და ინერტული მასალის გროვებში ჩამარხული ხეები ივლისი, 2020 წელი

წიაღისეულის მოპოვების შედეგად გაჩენილი კიდევ ერთი პრობლემა ღიად, ორმოების სახით დარჩენილი კარიერებია, რომელთა სიღრმე 3-დან 6 მეტრამდეა და 15 ჰექტარამდე ფართობის ტერიტორიას მოიცავს. გარდა იმისა, რომ რეკულტივაციის გარეშე ღიად დარჩენილი კარიერები, რომლებიც საგსეა დაბინძურებული წყლითა და ნაგვით დიღმის ჭალების უნიკალურ ეკოსისტემას თვალისთვის ხდის ნაკლებად მიმზიდველს, ისინი, რა თქმა უნდა, ბუნებრივ გარემოს, მის შემადგენელ კომპონენტებსა და ეკოსისტემის ფუნქციონირებას უქმნის საფრთხეს. ღია კარიერების გამო, რომლებიც ჭალის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მოქცეული, ნაყოფიერი ნიადაგის ძალიან დიდი ფართობია მთლიანად განადგურებული, ჭალის ტყე და ცხოველებისა და ფრინველების საცხოვრებელი ჰაბიტატი კი ფრაგმენტირებული. გარდა ამისა, კარიერების დღეს არსებულ მდგომარეობაში დატოვების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში წვიმისა და ქარის ზემოქმედება კარიერის კედლებს ჩამორეცხვას და ღრმულების კიდევ უფრო გაფართოებას შეუწყობს ხელს, რაც შესაბამისად გამოიწვევს ნაყოფიერი ნიადაგის კიდევ უფრო დიდი ფართობის დეგრადაციას და მცენარეულობის განადგურებას. მცენარეულობის დაზიანების კუთხით, მდგომარეობა დღესაც საკმაოდ მძიმეა. ყურადღება რომ არ მივაქციოთ იმ ფაქტს, თუ რა რაოდენობის მცენარეულობა განადგურებული ამ ტერიტორიაზე უშუალოდ კარიერული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, არც კარიერების ირგვლილ ცოცხალად დარჩენილი, თუმცა ხმოებისთვის განწირული ხეების რაოდენობაა მცირე. ფოტოსურათ 29 და 30-ზე კარგად ვხედავთ ნიადაგგამოცლილ, ფესვმოშიშვლებულ ხეებს, რომელთა გახმობაც ინერტულ მასალაში ჩაფლული ხეების მსგავსად მხოლოდ დროის საკუთხია.

ფოტოსურათებიდან კარგად ჩანს, რომ ღიად დარჩენილი კარიერების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ღრმა კარიერები, წყლით არის დაფარული. ძალიან ხშირად, სწორედ ამ წყლიან ორმოებში ხდება ტერიტორიაზე უკანონო განთავსების მიზნით ტრანსპორტირებული სხვადასხვა ტიპის ნაგვის ჩაყრა (იხ.სურათი 28). დაბინძურებული წყლით საგსე კარიერი საფრთხეს უქმნის ჭალის ტყეებში მცხოვრებ ცხოველებს, ქვეწარმავ-



სურათი 24. წყლით ამოვსებული ღია კარიერი
5 დეკემბერი, 2020 წელი
საველე გასვლისას გადაღებული ფოტო



სურათი 25. ღია კარიერები - 15 ჰექტარამდე ტერიტორია
5 დეკემბერი, 2020 წელი
ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ გადაღებული აეროფოტოსურათი

ლებსა და ფრინველებს, რომელთაც ნაგვიტ სავსე წყალი შესაძლოა სასმელად გამოიყენონ. ამასთან, რიგ ადგილებში კარიერების ღრმულები იმდენად ახლოა მტკვართან, რომ წვიმიან დღეებში კარიერში წყლის დონის მატება წყლის მდინარეში ჩადინებას და, შესაბამისად, მდინარის დაბინძურებასაც იწვევს.



სურათი 26. ნიადაგგამოცლილი ხეები 5 დეკემბერი, 2020 წელი
საველე გასვლისას გადაღებული ფოტოსურათი



სურათი 27. ნიადაგგამოცლილი ტირიფი 5 დეკემბერი, 2020 წელი
საველე გასვლისას გადაღებული ფოტოსურათი



სურათი 28. დაბინძურებული კარიერი.
ადგილობრივი მაცხოვრებლის მიერ გადაღებული ფოტოსურათი

გადამამუშავებელი საქმიანობები

დიღმის ჭალების ტერიტორიაზე არსებული კიდევ ერთი პრობლემა ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა, რომელთა საქმიანობაც ხორციელდება უკანონოდ და დიდ ზიანს აყენებს, როგორც ჭალის ეკოსისტემას, ისე მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას. ამჟამად დიღმის ჭალების ტერიტორიის მუნიციპალური საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე ფუნქციონირებს შპს „ლიდერ-ბეტონის“ ბეტონის საწარმო. აღსანიშნავია, რომ გზდ-ის მიერ 2020 წლის 19 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში³⁴, სადაც ნათქვამია, რომ დეპარტამენტმა ტერიტორიის ინსპექტირების შედეგად დაადგინა შემოთაღნიშნული ბეტონის საწარმოს არსებობა, ასევე წერია, რომ საწარმოს სამინისტროსთან შეთანხმებული არ ჰქონდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. თუმცა, დიღმის ჭალების მოძრაობის წარმომადგენლის განცხადების პასუხად, მოგვიანებით სამინისტრომ განმცხადებელს მიაწოდა შპს „ლიდერ-ბეტონის“ მიერ მომზადებული გემოხსენებული ანგარიში, რომელიც სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტთან შეთანხმებულია 2020 წლის 13 აგვისტოს ანუ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპარტამენტმა ტერიტორიის ინსპექტირების შედეგად უკანონოდ მოქმედი საწარმო აღმოაჩინა. ამასთან, ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ კომპანია მომავალში გეგმავდა ბეტონის საწარმოსთვის ინფრასტრუქტურის მოწყობას, მაშინ, როდესაც საწარმო უკვე მოქმედებდა.

შპს „ლიდერ-ბეტონის“ გარდა, ამავე მუნიციპალურ ტერიტორიაზე მოქმედებს შპს „რეზა ბლოკის“ სამშენებლო ბლოკის დამამზადებელი საწარმო, რომელსაც ლიდერ-ბეტონის მსგავსად არ აქვს სამინისტროსთან შეთანხმებული გემოხსენებული ტექნიკური ანგარიში³⁵. ტერიტორიაზე უკანონოდ ფუნქციონირებს ასევე ქვის სამტეხლო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურმა გემოხსენებულ მუნიციპალურ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობები შესაბამისი სამშენებლო-სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ნაწარმოებ მშენებლობებად სცნო³⁶ და გასცა განხორციელებული მშენებლობების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მერიისთვის წარდგენის ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დემონტაჟის ბრძანება. დღემდე ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მშენებლობის არც კანონიერება დადასტურებულა და არც დემონტაჟი განხორციელებულა.

გემოაღნიშნული საქმიანობები წარმოების გარემოსდაცვითი სტანდარტების დაუცველად მიმდინარეობს. მშრალ ამინდებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყოველთვის მარტივად შესაძენებია მტვერსა და გამონაბოლქვში გახვეული სივრცე

34. გარემოდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს.

35. გარემოდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს.

36. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სამსახურის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს უფროსის ზურაბ მამსიკაშვილის #17-0120261846 წერილი



სურათი 29. ქვიშა-ბრეშის გადამამუშავებელი საწარმოებიდან გაფრქვეული მტვრის ღრუბელი სპორტული კომპლექსის თავზე.

სექტემბერი, 2020 წელი

ადგილობრივი მაცხოვრებლის მიერ გადაღებული ფოტო



სურათი 30. ოლიმპიური აუზის წყალი მტვრით დაბინძურების შედეგად შავი ფერისაა.

დეკემბერი, 2020 წელი



სურათი 31. შპს „ლიდერ-ბეტონის“ ტერიტორიიდან მტკვარში ჩაშვებული დაბინძურებული წყალი.

სპორტული კომპლექსის მიმდებარედ, სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც ინერტული მასალის გადამამუშავებელი საქმიანობები ხორციელდება (იხ. სურათი 29). როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიღმის ჭალების მიმდებარედ ოლიმპიური კომპლექსი მდებარეობას, საცურაო აუზებით, ტანვარჯიშის არენითა და სპორტული მოედნებით. უკანონო საწარმოო პროცესებისგან გამოწვეული მტვერი და ხმაური სპორტსმენებისთვის კომპლექსის ღია მოედნებზე ვარჯიშსა და ზაფხულის პერიოდში ღია აუზში ცურვას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის. გაუსაძლისი ხდება გარეთ გამოსვლა მწვანე აღმასის მაცხოვრებლებისთვისაც, რადგანაც მტვერი საცხოვრებელ კომპლექსს და მის ეზოსაც აღწევს. ნორმების დაუცველად ხდება ინერტული მასალისა თუ გადამამუშავებული ქვიშა-ხრეშის საწარმოო და სასაწყობე ტერიტორიიდან გატანაც. სატვირთო ავტომობილები მასალის ტრანსპორტირებას მუდმივად ტენტის გადაფარების გარეშე ახორციელებენ, რის შედეგადაც გზადაგზა მტვრის მყარი ნაწილაკების ჰაერში გაფრქვევას აქვს ადგილი. მტვრის მყარი ნაწილაკების გავრცელების მასშტაბსა და უარყოფით ზემოქმედებას ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და ჭალის ტყეების ბიომრავალფეროვნებაზე ბევრად უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ დიდი დიღმისთვის განსაკუთრებით ძლიერი და ხშირი ქარებია დამახასიათებელი. პრობლემურია გადამამუშავების პროცესში მოხმარებული წყლით მტკვრის დაბინძურების საკითხიც. შპს „ლიდერ-ბეტონის“ მიერ წარმოების პროცესში მოხმარებული დაბინძურებული წყალი არხის საშუალებით ყველანაირი ფილტრაციის გარეშე, პირდაპირ მტკვარში ჩაედინება (იხ. ფოტოსურათი 31).

1.5. თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები და დიღმის ჭალეპის სტატუსი გენგეგმის მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ დიღმის ჭალეპის ტერიტორიის დიდი ნაწილი დღეისთვის სასარგებლო წიაღისეულის უკანონოდ მოპოვებისა და გადამუშავების პოლიგონად არის ქცეული, კანონით მას რეკრეაციული სივრცის სტატუსი აქვს მინიჭებული. როგორც დედაქალაქის მიწათსარგებლობის 2014 წლის გენერალურ გეგმაში³⁷, ისე უახლეს, 2019 წლის გეგმაში³⁸, დიღმის მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროს ჭალეპი სარეკრეაციო ზონის სტატუსით არის შესული. ნაშრომის ამ ნაწილში უფრო დეტალურად არის განხილული დედაქალაქის ახალი გენერალური გეგმის ძირითადი პრინციპები და ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ქალაქში ბუნებრივი ლანდშაფტის და გარემოს დაცვასა და აღდგენას და მწვანე სივრცეების განვითარებას უკავშირდება.

2019 წლის 15 მარტს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (შემდგომში გენგეგმა) დამტკიცდა. დადგენილების მიხედვით, გენგეგმა არის „ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ტერიტორიულ-სტრუქტურულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს“³⁹. დედაქალაქის გენგეგმის შემუშავება ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნას ემსახურება.

გენგეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი დედაქალაქის მოსახლეობისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებაა. დადგენილების მიხედვით, თბილისის გენგეგმა რამდენიმე ძირითად პრიორიტეტს ეყრდნობა, რომელთა დიდი ნაწილი ქალაქის რეკრეაციული პოტენციალის გამოყენებას და მისი ბუნებრივი იერსახის შენარჩუნებასა და აღდგენას უკავშირდება. აღნიშნულ პრიორიტეტთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა დედაქალაქის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ღირებულებების გამოვლენა და გაძლიერება, სარეკრეაციო სივრცეების განვითარების ხელშეწყობა, დეგრადირებული ტერიტორიების და ლანდშაფტური სივრცეების აღდგენა, ქალაქის ირგვლივ ბუფერული ლანდშაფტური ზონის შექმნა და ქალაქისა

37. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №20-105 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ. დანართი - გენერალური გეგმის რუკა. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/2669598?publication=0#DOCUMENT:1;ENCLOSURE:1;HEADER:1;>

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის დადგენილება №39-18 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4508064?publication=0>

39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის დადგენილება №39-18 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ. 1-ლი მუხლის 1 პუნქტი.

და მდინარის კავშირის, აგრეთვე არსებული ხეობების ეკოსისტემის რეაბილიტაციის ხარჯზე უწყვეტი, მტკვრის ხეობიდან განშტოებული ერთიანი მწვანე სისტემის აღდგენა⁴⁰.

დედაქალაქის გენგეგმა ქალაქის განვითარების 4 ძირითად კონცეფციას⁴¹ ეფუძნება, ესენია: ა) კომპაქტური ქალაქი; ბ) მწვანე ქალაქი; გ) კარგად შეკავშირებული ქალაქი; დ) მედეგი ქალაქი (მუხლი 13). მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს ოთხი კონცეფცია ქალაქის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით განვითარებას მოიაზრებს, ოთხივე მათგანი აერთიანებს თავის თავში ბუნებრივი გარემოს, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დაცვა/აღდგენის და ტერიტორიების რეკრეაციული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნებს.

„კომპაქტური ქალაქი“⁴² გულისხმობს ტერიტორიების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას და მათი შეკავშირებულობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, დაბალანსებული საცხოვრებლის და დასვენება-რეკრეაციის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. „კომპაქტური ქალაქის“ კონცეფციის პრაქტიკაში დასანერგად დეგრადირებული და უფუნქციო ტერიტორიების რევიტალიზაცია უმნიშვნელოვანესია. „მწვანე ქალაქის“⁴³ კონცეფცია თბილისის გარემოსდაცვითი და სარეკრეაციო პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ქალაქის დაგეგმარებისას პირველ ადგილზე უნდა იქნას წამოწეული მიდგომა – „მდინარე და ქალაქი“, რაც მდ. მტკვრის ნაპირების სარეკრეაციო განვითარების პრიორიტეტიზაციას გულისხმობს. თბილისის „მწვანე ქალაქის“ კონცეფციის მიხედვით განვითარება მოიაზრებს მდ. მტკვრის და სხვა მცირე მდინარეების სანაპიროების გასწვრივ ერთიანი სარეკრეაციო ქსელის შექმნას. გენგეგმის მიხედვით, მტკვრისპირა სარეკრეაციო სისტემამ უნდა დაიცვას მდინარის გარშემო არსებული ბუნებრივი ლანდშაფტები და ამავე დროს, უზრუნველყოს ქალაქის ცენტრალური ნაწილი მდინარისპირა სარეკრეაციო სივრცეებით, რომლებიც ქალაქის განიავებისა და გავრილების დერეფნების ფუნქციასაც შეასრულებს. „კარგად შეკავშირებული ქალაქის“⁴⁴ კონცეფცია პრიორიტეტად ისახავს სარეკრეაციო და ლანდშაფტურ ტერიტორიებზე მოსახლეობის მოხერხებული წვდომის უზრუნველყოფას სატრანსპორტო სისტემის განვითარების შედეგად.

გენგეგმით, თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიებს შორის, ისეთ ადგილებში, სადაც ლანდშაფტური თავისებურებები ქვეითათავის მიწვდომადობას არ აფერხებს, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის განსაკუთრებული მნიშვნელობაა ხაზგასმული. ამ მხრივ, პრიორიტეტულ ტერიტორიებშია მოქცეული ურბანულ ნაწილში არსებულ მდინარეთა ხეობები, განსაკუთრებით მდ. მტკვრის ჭალები და მიმდებარე ბუნებრივი გარემო. ამასთან, ქალაქის ურბანულ ნაწილში მოქცეული ნებისმიერი მწვანე სივრცე პირველ რიგში მოაზრებული უნდა იყოს სარეკრეაციო სივრცეების განვითარების

40. დედაქალაქის 2019 წლის გენგეგმის მე-2 მუხლი.


41. დედაქალაქის 2019 წლის გენგეგმის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი.

42. დედაქალაქის 2019 წლის გენგეგმის მე-3 მუხლი

43. დედაქალაქის 2019 წლის გენგეგმის მე-4 მუხლი

44. დედაქალაქის 2019 წლის გენგეგმის მე-5 მუხლი

ტერიტორიად. გენგემის მიხედვით, პრიორიტეტულია ასევე მტკვრის სანაპიროს გასწვრივ ერთიანი საფეხმავლო ქსელის ჩამოყალიბება, საველოსიპედო-საფეხმავლო ბილიკებით ქალაქის მთელ სიგრძეზე რეკრეაციული არეალების დადგენა მცხეთა-თბილისსა და რუსთავი-თბილისს შორის მწვანე სარტყელის მონაკვეთის შექმნის გზით. თბილისის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე სარეკრეაციო სივრცეების სიმწირის და არათანაბარი დაფარულობის გამო, ყველა უბნისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულ მიმართულებას ახალი, საერთო სარგებლობის მწვანე სივრცეების შექმნა წარმოადგენს⁴⁵.



რუკა 1. ლილის ქალები შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაზე წყარო - შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა⁴⁶

45. დედაქალაქის 2019 წლის გენგემის მე-11 მუხლი

46. დედაქალაქის გენგემის დანართი 1.11 - შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა

თბილისის გენგეგმაში დიღმის ტალების ტერიტორია შემდეგი რიგის ქალაქთგეგმარებითი არეალების პროგრამაშია მოქცეული (იხ. რუკა 1). პროგრამაში ის საქალაქო სივრცეებია მოხვედრილი, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში წინასაპროექტო კვლევებისა და ქალაქგეგმარებითი მიზანშეწონილობის უგულვებელყოფით განვითარდა ან/და რომელთა სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება პრიორიტეტულია. პროგრამაში დიღმის ტალების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციით, „დიღმის ტალები წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ბუნებრივი სახით შენარჩუნებულ მტკვრისპირა ზოლს, რომელსაც განსაკუთრებული ეკოლოგიური, ლანდშაფტური და ურბანული ღირებულება გააჩნია ქალაქისათვის, განსაკუთრებით გამწვანებული ტერიტორიების მწვავე დეფიციტის პირობებში. ქალაქში მსხვილ მასშტაბიანი სარეკრეაციო სივრცეებიდან და მაღალი სამშენებლო ინტერესებიდან გამომდინარე დედაქალაქისთვის პრიორიტეტულია დიღმის ტალების ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება, რის ფარგლებშიც უნდა განისაზღვროს, როგორც საპარკო, ასევე სხვა სამშენებლო არეალები, უზრუნველყოფილ იქნეს მდინარესთან წვდომა, ბიომრავალფეროვნების და არსებული ეკოსისტემების შენარჩუნება. მნიშვნელოვანია მდინარის ორივე ნაპირისთვის ერთიანი გადაწყვეტების შემუშავება, შესაძლო საფეხმავლო კავშირების (ხიდეების) გათვალისწინებით⁴⁷.

თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკის (იხ. რუკა 2) მიხედვით, დიღმის ტალების მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორია 6 ზონად არის დაყოფილი, აქედან ერთი არის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, ორი - სატყეო ზონა, ერთი - რეკრეაციული ზონა 1, ორი კი - რეკრეაციული ზონა 2. გენგემით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებული ბუნებრივი და ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას მოიცავს. მასში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებისა⁴⁸. სარეკრეაციო ზონა 1 და 2 მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს, მათ შორის, ბაღს, ბულვარს, სკვერს, გაზონს, პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. სარეკრეაციო ზონის ტერიტორიებზეც აკრძალულია ყველანაირი ტიპის მშენებლობა, გარდა იმ მინიმალური ინფრაქტრუქტურისა, რაც სარეკრეაციო სივრცეს უსაჭიროება (სარწყავი სისტემები, სკამები, საფეხმავლო ბილიკები და ა.შ)⁴⁹. სატყეო ზონა კი მოიცავს თბილისის ტერიტორიაზე არსებულ ტყეებსა და სატყეო ტერიტორიებს, სადაც ასევე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა⁵⁰. გენგემის მიხედვით, გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები მოიცავს ინფორმაციას თბილისში არსებული თუ დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში⁵¹.

47. დედაქალაქის გენგემის მე-4 დანართი - შემდეგი რიგის ქალაქთმშენებლობითი არეალების პროგრამა

48. დედაქალაქის გენგემის 55-ე მუხლი

49. დედაქალაქის გენგემის 52-ე და 53-ე მუხლები

50. დედაქალაქის გენგემის 58-ე მუხლი

51. დედაქალაქის 2019 წლის გენგემის 68-ე მუხლი, მე-2 პუნქტი



რუკა 2. დიღმის ჭაღების ზონალური დაყოფა

წყარო - თბიღისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (ღანართი 1.8)⁵²

მიუხეღავად იმისა, რომ დეღაქალაქის გენგეგმის მიხეღვით მომავალ წღებში თბიღისის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართუღებად დეღაქალაქის მოსახღეობისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება, საერთო სარგებღობის ახალი მწვანე სივრცეების შექმნა და მტკვრისპირა სარეკრაციო სისტემის განვითარება, რომელმაც მტკვრის გარშემო არსებული ბუნებრივი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვა უნდა უზრუნვეღყოს, დიღმის ჭაღების ტერიტორიის განვითარების ამჟამინდელი მიმართუღება და აქ მიმდინარე პროცესები სრულიად ამოგარდნიღია დეღაქალაქის განვითარების მიზნებიღან და მიწათსარგებღობის გენერალური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტებიღან. ყვეღაზე სამწუხარო მაინც ის ფაქტია, რომ ის უარყოფითი ზემოქმეღება, რომელსაც დიღმის ჭაღების ტერიტორია ყოვეღდღიურად განიცღის და ზიანი, რომელიც ჭაღის უნიკალურ ეკოსისტემასა და ბიომრავალფეროვნებას დღიღან დღემღე ადგება, შესაძღლოა შეუქცევადი აღმოჩნდეს.

52. დეღაქალაქის 2019 წღის გენგეგმის ღანართი 1.8 - თბიღისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა

2. დიღმის ჭალეხის მომავალი და კომბლეშიდანი გამოსავალი

2.1. კიდევ უფრო დიდი მოსალოდნელი საფრთხე

კიდევ უფრო დიდ საფრთხეს, ვიდრე დიღმის ჭალეხის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებია, დიღმის ჭალეხის უნიკალურ ეკოსისტემას ის დამოკიდებულება უქმნის, რომელიც ტერიტორიასთან მიმართებით სახელმწიფოს, კერძო კომპანიებისა თუ ზოგადად საზოგადოების მხრიდან მკვიდრდება. იმის მიუხედავად, რომ ჭალის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ჯერ კიდევაა შემორჩენილი იშვიათი, ბუნებრივი ჭალის ტყის ჰაბიტატი, სადაც ბიომრავალფეროვნების არაერთი უნიკალური წარმომადგენელი სახეობა, ის რეალობა, რომ დიღმის ჭალეხის დიდი ნაწილი მაღალ ანთროპოგენულ ზემოქმედებას განიცდის ხელს უწყობს ტერიტორიაზე ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეკონომიკური მიზნებისთვის მის სრულად ათვისებას. სამწუხაროდ, ხშირად ხდება ისე, რომ ბუნებრივ გარემოზე მაღალი ანთროპოგენული ზემოქმედების არსებობა ერთგვარ ბერკეტს ქმნის ტერიტორიის ათვისებით ფინანსურად დაინტერესებული ინდივიდებისთვის და მათ საქმიანობას სახელმწიფოს მხრიდან მწვანე შუქი ენთება იმ არგუმენტით, რომ ბუნებრივი გარემო ისედაც გარდაქმნილია.

შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი დამოკიდებულება უკვე არსებობს დიღმის ჭალეხთან მიმართებითაც. ამის მაგალითი დიღომი ჰესის პროექტია. დიღმის ჭალეხის მიმდებარედ, მდ. მტკვარზე, 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის მშენებლობა დაგეგმილი, რაზეც უკვე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. დიღომი ჰესის საპროექტო დერეფანში ხვდება მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო ზოლი, ყოფილი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია, სწორედ ის არეალი, სადაც დიღმის ჭალეხი მდებარეობს (იხ. სურათი 32).

დიღომი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში⁵³ წერია, რომ საპროექტო დერეფნის მიმდებარე ტერიტორიები დამბის განთავსების ადგილიდან თითქმის წყალსაცავის კუდამდე გამოიყენება, როგორც სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი, ამდენად, აქ ნაკლებადაა შემორჩენილი ბუნებრივი მცენარეულობა. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ტერიტორიის მაღალი ანთროპოგენული ზემოქმედების ზონაში მდებარეობის გამო, აქ წარმოდგენილი ჰაბიტატი არ გამოირჩევა ფაუნის სახეობრივი მრავალფეროვნებით. საკვლევ არეალში აღინიშნება ცხოველთა რაოდენობრივი სიმცირე. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მოცემული ეს ინფორმაცია ცხადყოფს, რომ დიღმის ჭალეხის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები და ტერიტორიის ანთროპოგენიზაცია, არეალის ბუნებრივი ეკოსისტემის მნიშვნელობისა და უნიკალურობის

53. ქ. თბილისში მდ. მტკვარზე 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის („დიღომი ჰესი“) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2019 წელი. ხელმისაწვდომია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <https://mepa.gov.ge/Ge/FiaAndSeaAnnouncements>



სურათი 32. დიღომი ჰესის განთავსების ადგილის სიტუაციური სქემა.

წყარო: დიღომი ჰესის პროექტის გზმ-ის ანგარიში

დასაფარად კარგადაა გამოყენებული. მაშინ როდესაც გზმ-ის ანგარიში ცდილობს ტერიტორიის ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი საფრთხეები დამალოს, რეალობაში, დიღომი ჰესის პროექტის განხორციელება და მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის შემცირება დიდი ალბათობით პირდაპირ შეუქმნის საფრთხეს ტერიტორიაზე შემორჩენილი ბუნებრივი ჭაღის არსებობას. ამ შემთხვევაში, გზა საბოლოოდ იქნება ხსნილი ტერიტორიის ურბანული განვითარებისათვის.

2.2. პრობლემიდან გამოსავალი

მიუხედავად იმისა, რომ დიღმის ჭალები ძალიან მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაშია და ეს ტერიტორია მაღალ ანთროპოგენულ ზემოქმედებას განიცდის, ჭაღის ტყის უნიკალური ჰაბიტატის ნაწილი, 18 ჰექტარი ფართობის ტერიტორია დღემდე შემორჩენილია (იხ. სურათი 8) და მის გადასარჩენად მყისიერი ღონისძიებების გატარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში ჭაღის ეკოსისტემა, რომელიც საქართველოში სულ რამდენიმე არეალზე, ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი, საბოლოოდ განადგურდება, თბილისი კი დაკარგავს სარეკრეაციო დანიშნულებით განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიას, რომელსაც თბილისის მასშტაბით ყველაზე დიდ სარეკრეაციო სივრცედ განვითარების პოტენციალი გააჩ-



სატელიტური სურათი მ. დიღმის ჭალეზში შემორჩენილი ჭალის ტყეები, ივლისი, 2020 წელი. მწვანედ შემოსაზღვრულია შემორჩენილი ტყე, მათ შორის ტბები. სტაფილოსფრად შემოსაზღვრულია ლანდშაფტური ზონაში მოქცეული ტყე, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

ნია (იხ. სურათი 9), რომ არაფერი ვთქვათ მისი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობასა და უნიკალურობაზე. უმნიშვნელოვანესია ის ფაქტიც, რომ დიღმის ჭალეზის ტერიტორია ერთადერთი არეალია მტკვრის გასწვრივ თბილისში, სადაც მტკვარი ჯებირებით შემოსაზღვრული არ არის და შესაძლებელია მისი სანაპიროს ათვისება სარეკრეაციო დანიშნულებით.

დღესდღეობით დედაქალაქის გენგეგმით უკვე არსებობს სამართლებრივი ბერკეტი იმისათვის, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან დიღმის ჭალეზის დასაცავად საჭირო ქმედებები ხორციელდებოდეს. ქალაქის მიწათსარგებლობის გეგმაში ეს ტერიტორია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო, სარეკრეაციო ან სატყეო ზონებშია შესული, რაც იმას ნიშნავს, რომ დიღმის ჭალეზში ყოველგვარი საქმიანობა თუ მშენებლობა, რომელიც ტერიტორიის სარეკრეაციო დანიშნულებით ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას არ ემსახურება დაუშვებელია. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის პოლიტიკის სათათბირო საბჭოს ხელმძღვანელის პაატა შანშიაშვილის თქმით⁵⁴, ტერიტორიის სტატუსის უფრო მეტად გამკაცრება არც შესაძ-

54. პირადი ინტერვიუ პაატა შანშიაშვილთან. 2021 წლის 30 იანვარი.



სატელიტური სურათი 9. დიღმის ჭალების ტერიტორიის ფართობის შედარება ლისის ტბისა და იზოდრომის ტერიტორიებთან.

ღებელია და არც ამის საჭიროება დგას. დაცული ტერიტორიების სისტემის ურბანულ გარემოში შემოტანის გამოცდილება ჯერ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი ახალია და მითუმეტეს საქართველოში ამის განხორციელების შესაძლებლობა არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ამ დროისათვის. თუმცა, პაატა შანშიაშვილი ირწმუნება, რომ ტერიტორიის სტატუსის გამკაცრება შედეგს არ მოიტანს, თუ სტატუსის დაცვა უზრუნველყოფილი არ იქნა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან. დიღმის ჭალების ტერიტორიას დაცული ტერიტორიების კატეგორიებს შორის ყველაზე მკაცრად დაცული კატეგორიის, ნაკრძალის სტატუსიც რომ მიენიჭოს, თუ ტერიტორიის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან აღსრულება არ მოხდა, სასურველი კონსერვაციული შედეგი მაინც ვერ მიიღწევა. მსოფლიოში ამგვარი ტიპის, ე.წ. Paper Park-ების, ანუ მხოლოდ ფურცელზე დაცული პარკების არაერთი მაგალითი არსებობს. დიღმის ჭალების ტერიტორიას გენგეგმით ისედაც გააჩნია საკმარისი სტატუსი იმისათვის, რომ ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდეს ის პროცესები, რომლებიც დღეს

აქ მიმდინარეობს⁵⁵. შესაბამისად, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც დიღმის ტალღების გადასარჩენად დგება, გენგემით ტერიტორიისთვის მინიჭებული ზონალური სტატუსის დაცვა და ამ ზონალობებში დაუშვებელი საქმიანობების აღკვეთაა. მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ საკითხის დღის წესრიგში დასაყენებლად ქვედა რგოლის სამსახურების დონე საკმარისი არაა და საჭიროა პრობლემის მოგვარებაში ხელმძღვანელობის ჩართვა.

პირველ რიგში აუცილებელია დიღმის ტალღების ტერიტორიაზე აიკრძალოს ყველა ის საქმიანობა, რომელიც ტერიტორიაზე ამ ეტაპზე ხორციელდება, მათ შორის, ქვიშა-ხრეშის უკანონო მოპოვება და სამშენებლო მასალების გადამამუშავებელი საწარმოების ფუნქციონირება. აკრძალვის შემდგომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს ყველა ნაგებობის დემონტაჟი და ტერიტორიის გათავისუფლება დასაწყობებული ინერტული მასალისაგან. **პარალელურად, საჭიროა მოგვარდეს ტერიტორიის დანაგვიანებისა და უკანონო ნაგავსაყრელების პრობლემა.** გარდა იმისა, რომ აუცილებელია ამ კუთხით მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის გაკაცრება და დაბინძურების ყველა ფაქტის გამოვლენა-აღკვეთა, მნიშვნელოვანია ტერიტორიის გასუფთავება უკვე განთავსებული ნარჩენებისგან. გარდა იმისა, რომ ნაგვისგან გათავისუფლება როგორც ტერიტორიისთვის ესთეტიური იერსახის დასაბრუნებლად ისე ბუნებრივი გარემოსთვის აღდგენის საშუალების მისაცემად მნიშვნელოვანი, ტერიტორიის დასუფთავება ხელს შეუწყობს ტალღის დანაგვიანების ახალი შემთხვევების პრევენციას. ათასგვარი ნარჩენით სავსე ნაგავსაყრელები ტალღას გაპარტახებული, მიტოვებული ტერიტორიის იერსახეს სძენს, რაც საზოგადოებაში აჩენს იმის განცდას, რომ ტერიტორიის დაბინძურება დასაშვებია და ამისთვის არავინ დაისჯება.

ტერიტორიის გასუფთავების შემდგომ, მნიშვნელოვანია მოხდეს ღია კარიერული სამუშაოების, დასაწყობების, გადამამუშავებელი საქმიანობებისა თუ დაბინძურების შედეგად დეგრადირებული გარემოს აღდგენა და ნიადაგის რეკულტივაცია. გამომდინარე იქიდან, რომ ღია კარიერული სამუშაოების შემდეგ მომპოვებლის მიერ ნიადაგის რეკულტივაციის ვალდებულება ჩნდება სალიცენზიო ვადის დასრულების შემდგომ, ხოლო დიღმის ტალღების ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვება ხდებოდა ძირითადად ლიცენზიის გარეშე, შესაძლოა კანონით გართულდეს კერძო კომპანიებზე რეკულტივაციის ვალდებულების დაკისრება. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება, რომ ტერიტორიის მნიშვნელობიდან და უნიკალურობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ თავად უზრუნველყოს სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება სრულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგი დეგრადირებულია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონპროექტით „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც სულ მალე, 2021 წელს, პარლამენტის საგამაფხულო სესიაზე უნდა დამტკიცდეს, იქმნება „გარემოსდაცვითი ფონდი“⁵⁶, რომლის მიზანი იქნება ზიანის პრევენცია, გარემოს მდგომარეობის აღდგენა და ასევე ისტორიულად დაზიანებული გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება. იმ ტერიტორიის შერჩევა, სადაც ზიანის გამოსწორებას გარემოსდაცვითი ფონდი უზრუნ-

55. პირადი ინტერვიუ პაატა შანშიაშვილთან. 2021 წლის 30 იანვარი.
 56. საქართველოს კანონპროექტი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ - განმარტებითი ბარათი. ხელმისაწვდომია: <http://bit.do/fNgsV>

ველყოფს სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ მოხდება ხოლმე. შესაბამისად, შესაძლებელია გარემოსდაცვითი ფონდი განვიხილოთ დეგრადირებულ ტერიტორიაზე ნიადაგის რეკულტივაციის შესაძლო განმახორციელებლად.

მას შემდეგ, რაც მოპოვებითი თუ გადამამუშავებელი სამუშაოების შედეგად დაზიანებული ნიადაგის აღდგენა მოხდება, საჭიროა რაც შეიძლება მალე დაიწყოს ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცის განვითარება. თუმცა, ამ პროცესშიც არაერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ტერიტორიის მდგომარეობა და პოტენციური მასშტაბურად იქნას შესწავლილი და გამოყენებული და პარკმა დაფაროს არამხოლოდ 15 ჰექტარი ფართობის, არამედ ბევრად უფრო დიდი ტერიტორია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ის ბუნებრივი ეკოსისტემა, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია მასშტაბურად ხელუხლებლად შენარჩუნდეს, სხვადასხვა სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა კი ჭაღის ტერიტორიის უფრო სიღრმეში, ისეთ დეგრადირებულ უბნებზე მოხდეს, რომელთა აღდგენის პოტენციური ფაქტობრივად არ არსებობს. სასურველია, რომ ტერიტორიაზე მოეწყოს არა სტანდარტული საქალაქო პარკი, არამედ ტყე-პარკი მინიმალური ინფრასტრუქტურით. გარდა ამისა, ტერიტორიის პოტენციურად მასშტაბურად გამოსაყენებლად, შესაძლებელია მოხდეს ტერიტორიით სარგებლობა საგანმანათლებლო მიზნებისთვისაც. კერძოდ, უშუალოდ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტყეებში შესაძლოა მოეწყოს საგანმანათლებლო ტურები სკოლისა თუ ბაღის მოსწავლეებისთვის. შესაძლებელია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, მდ.მტკვართან ახლოს შეიქმნას ერთგვარი სადამკვირვებლო წერტილები, საიდანაც დაინტერესებული ადამიანები შეძლებენ დურბინდებით დააკვირდნენ როგორც ფრინველებს მდინარე მტკვარში და მის პატარა-პატარა კუნძულებზე, ისე ჭაღის კუნძულზე ბინადარ წავეებს თუ სხვა ცხოველებს. პარკის მოწყობისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომ წავეის კუნძულის იზოლირებულობა არ უნდა დაირღვეს, რადგანაც ეს შესაძლებელს გახდის კუნძულზე უპატრონო ძაღლებისა და კატების მოხვედრას, რაც წავეებს მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის⁵⁷.

57. პირადი ინტერვიუ კახა არცივაძესთან. 2021 წლის 23 იანვარი.

3. კვლევის ძირითადი მიზნები

დიღმის ტალების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ კვლევის ჩატარება მიზნად ისახავდა ქ.თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბუნებრივი არეალის, დიღმის ტალების მდგომარეობის და ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების შესწავლას და ამ პროცესების შედეგად დიღმის ტალების ბუნებრივი ეკოსისტემისა და გარემოს კომპონენტებისთვის მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შეფასებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა დიღმის ტალების ტერიტორიაზე მიმდინარე ის ძირითადი საქმიანობები/პროცესები, რომლებმაც ტალის ბუნებრივი ეკოსისტემა ეკოლოგიურ კრიზისამდე მიიყვანა და დღემდე იწვევს ამ ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

კვლევის ძირითადი მიზნებია:

დიღმის ტალების მნიშვნელობა

- **საქართველოს კანონმდებლობით ტალის ტყე იმ ბუნებრივი ეკოსისტემების ჩამონათვალშია შესული, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს.** ტალის ტყეები ჩვენი ქვეყნისთვის უკიდურესად მოწყვლად ეკოსისტემას წარმოადგენს და დღეისათვის საქართველოში ამგვარი ტიპის ეკოსისტემების ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი, ყველაზე უფრო მცირე რაოდენობით კი ისინი მდ. მტკვარზეა დარჩენილი. სწორედ ამიტომ, მტკვრის სანაპიროზე ნებისმიერი ტალის ტყის დაცვა და შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
- გარდა იმისა, რომ დიღმის ტალების, როგორც უკიდურესად მოწყვლადი ეკოსისტემის შენარჩუნება სახელმწიფოს კონსერვაციული პრიორიტეტების გათვალისწინებითაა აუცილებელი, **ამ ტერიტორიის დაცვა იმითაც მნიშვნელოვანია, რომ დიღმის ტალებს დედაქალაქის ყველაზე დიდ და გამორჩეულ სარეკრეაციო სივრცედ განვითარების პოტენციალი გააჩნია.** დიღმის ტალები ერთადერთი ადგილია თბილისის მასშტაბით, სადაც ტალის ტყის ბუნებრივი ეკოსისტემა, ფლორისა და ფაუნის გამორჩეული სახეობებით ასეთი მდიდარი ჰაბიტატი შუაგულ ქალაქში გვხვდება. ეს ტერიტორია ასევე ერთადერთია ქალაქის მასშტაბით, სადაც მტკვარი ჯებირებში არ არის მოქცეული და მისი სანაპიროს სარეკრეაციო დანიშნულებით ათვისებაა შესაძლებელი. დიღმის ტალები სტრატეგიული მდებარეობითაც მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ ტერიტორიაზე მოხვედრა ქალაქის მაცხოვრებლებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ძალიან მარტივადაა შესაძლებელი.
- **დიღმის ტალების როლი დედაქალაქის გენგეგმაშიც საზგასმულია.** გენგეგმის კონცეფცია „მწვანე ქალაქი“ თბილისის გარემოსდაცვითი და სარეკრეაციო პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ქალაქის დაგეგმარებისას პირველ ადგილზე უნდა იქნას წამოწეული მიდგომა - „მიდინარე და ქალაქი“, რაც მდ.მტკვრის ნაპირების სარეკრეაციო

დანიშნულებით განვითარების პრიორიტეტიზაციას გულისხმობს. თბილისის გენგეგმაში დიღმის ჭალეზის ტერიტორია შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების პროგრამაშია მოქცეული. ამ პროგრამაში ის საქალაქო სივრცეებია მოხვედრილი, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქალაქგეგმარებითი მიზანშეწონილობის უგულვებელყოფით განვითარდა ან/და რომელთა სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება პრიორიტეტულია. პროგრამაში წარმოდგენილი ინფორმაციით, დიღმის ჭალეზი წარმოადგენს მეტნაკლებად ბუნებრივი სახით შენარჩუნებულ მტკვრისპირა ზოლს, რომელსაც განსაკუთრებული ეკოლოგიური, ლანდშაფტური და ურბანული ღირებულება გააჩნია ქალაქისათვის.

- დიღმის ჭალეზის ტერიტორია მდიდარია ბიომრავალფეროვნებით. გარდა იმისა, რომ აქ ბუნებრივი ჭალის ტყეა განვითარებული, ტერიტორია ფაუნის არაერთი სახეობისთვისაც ქმნის საცხოვრებელ ჰაბიტატს. აქ გავრცელებული სახეობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბერნის კონვენციით დაცული ფრინველთა სახეობები.
- მდ.მტკვარში არსებულ ჭალის კუნძულზე, რომელიც დიღმის ჭალეზიდან სულ რამდენიმე მეტრში მდებარეობს, ბინადრობს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა წავი. სწორედ წავების ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, 2020 წლის ბოლოს ჭალის კუნძული ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორია გახდა. წავის კუნძულის ზურმუხტის ქსელში შესვლა დიღმის ჭალეზის დაცვის საჭიროებას კიდევ უფრო ზრდის, რადგანაც მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ზურმუხტის საიტი იყოს დაცული უარყოფითი ზემოქმედებისა და შემაწუხებელი ფაქტორებისგან, არამედ მისი მიმდებარე ტერიტორიაც.

ანთროპოგენული ზემოქმედება დიღმის ჭალეზზე

- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დიღმის ჭალეზის ბუნებრივი ეკოსისტემა მნიშვნელოვნად დეგრადირდა და ეკოლოგიური მდგომარეობა გაუარესდა, რაც დაკავშირებულია იმ საქმიანობებთან და პროცესებთან, რომლებიც ტერიტორიაზე მიმდინარეობს.
- დიღმის ჭალეზში დღეისთვის სამი ძირითადი პრობლემა ფიქსირდება, ესენია: უკანონო ნაგავსაყრელების არსებობა, ქვიშა-ხრეშის ღია კარიერული მოპოვება-დასაწყობება და მოპოვებული მასალის გადაამუშავება.
- დიღმის ჭალეზის რამდენიმე უბანი, საერთო ჯამში 40 ჰექტარამდე ფართობის ტერიტორია სხვადასხვა ტიპის ნარჩენითაა დაბინძურებული, მათ შორისაა ინერტული, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სპეციფიკური ნარჩენები. თუმცა, ამ თვალთ მარტივად გასარჩევი ტიპის ნარჩენებთან ერთად, არსებობს იმის რეალური საფრთხეც, რომ ტერიტორია სახიფათო ნარჩენებითაც იყოს დაბინძურებული.

- **ტერიტორიაზე მოხვედრილი ნარჩენების წყარო სხვადასხვაა.** აქ ვხვდებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა უბნებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მორჩენილ სამშენებლო ნაგავს, კომპანიების/საწარმოების მიერ შემოტანილ ინერტულ თუ საოფისე ნარჩენებს.
- **ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება არააერთ პრობლემას წარმოშობს,** კერძოდ: 1. ლანდშაფტის მექანიკური დაზიანება, ნიადაგის მიკროფლორის დარღვევა და ხეების და სხვა მცენარეულობის განადგურება; 2. მიწისქვეშა წყლებისა და მდ. მტკვრის დაბინძურება, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის მტკვარში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს, ჭალის კუნძულის ბინადარ წავეებს და ამავე კუნძულზე და დიღმის ჭალებში მცხოვრებ ფაუნის სხვა წარმომადგენლებს, ასევე კვებით ჯაჭვში ჩაბმულ ადამიანებს, რომლებიც მტკვარში დატყერილ თევზს იყენებენ საკვებად.
- მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჭალების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ამავე ტერიტორიაზე მოპოვებული ქვიშა-ხრემის განთავსებისა და წიაღისეულის მოპოვების შედეგად ღიად დარჩენილი კარიერების არეალს.
 - ტერიტორიის ფართობი, რომელზეც ღია კარიერული მოპოვება განხორციელებული ჯამში შეადგენს 13 ჰექტარს, ხოლო დასაწყობებული ინერტული მასალა ფარავს 3 ჰექტარს.
 - **სამშენებლო მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე საეჭვო გარემოება, კერძოდ:**
 1. ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვებას ახორციელებს შპს“იბერია-მშენი“ შპს“გრავის“ სახელზე 2006 წელს გაცემული 20 წლიანი ლიცენზიის საფუძველზე. თუმცა, შპს“გრავის“ მიერ ლიცენზიის გასხვისება კანონის დაცვით არ მომხდარა და წიაღის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, შპს „იბერია-მშენი“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას არ ფლობს. შესაბამისად, კომპანია სააგენტოს მიმართ არც წიაღის მოპოვების ანგარიშგებას არ ახდენს.
 2. იმ შემთხვევაშიც თუ იბერია-მშენისთვის გადაცემულ ლიცენზიას და მის საქმიანობას კანონიერად მივიჩნევთ, მის მიერ დიღმის ჭალების ტერიტორიაზე მოპოვებული ინერტული მასალის მოცულობა საგრძნობლად სცდება ლიცენზიის პირობებით დადგენილ მოპოვების ჯამურ მოცულობას.
 3. დიღმის ჭალების ტერიტორიაზე დასაწყობებული ინერტული მასალა შპს „იბერია-მშენთან“ ერთად ეკუთვნის კიდევ ორ კომპანიას, სამივე კომპანიას ერთი მეპატრონე ჰყავს. გზდ-ის ინფორმაციით, აღნიშნული ორი კომპანიის მიერ დასაწყობებული მასალები ამ ტერიტორიაზე არაა მოპოვებული და შეძენილია.
 4. გზდ-ის მიერ დიღმის ჭალების ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გაირ-

კვა, რომ ჭაღების კიდევ სამ სხვა უბანზე, რომლებიც გრუნტის გზით უკავშირდება ზემოხსენებული კომპანიების მიერ საწყობად გამოყენებულ ტერიტორიას, მოპოვებული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობით ქვიშა-ბრეში უღიცენზიოდ.

5. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ უბნებზე უკანონოდ მოპოვებული მასალა არ წარმოადგენს შპს „იბერია-მშენის“ მეგობარი ორ კომპანიის საკუთრებაში არსებულ დასაწყობებულ მასალას გზდ-ის მიერ ჩატარებული შესაბამისი ანალიზით დადასტურებული არ არის.
 6. ეჭვქვეშ დგას შპს „იბერია-მშენზე“ 2006 წელს ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხიც იმის საფუძველზე, რომ საეჭვოა გეოლოგიური ექსპერტიზისას რამდენად სათანადოდ იყო შესწავლილი ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურებები და ქვიშა-ბრეშის მოპოვების შედეგად მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეები. შესაბამისი უწყების მხრიდან იმის შეფასება, თუ რა პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მოპოვებითი საქმიანობა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე სათანადოდ თითქმის არასდროს ხორციელდება.
- ქვიშა-ბრეშის მოპოვება და დასაწყობება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს დიღმის ჭაღების ეკოსისტემას, კერძოდ:
 1. ჭაღების ტერიტორიის დიდი ნაწილი ინერტული მასალის გორებშია ჩაფლული, რაც იწვევს ლანდშაფტის მექანიკურ დაზიანებას, ნიადაგის დეგრადაციას და ჭაღის ტყის დიდი ნაწილის განადგურებას.
 2. წიაღისეულის მოპოვების შედეგად დარჩენილი ღია კარიერების გამო, რომლებიც ჭაღის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა (13 ჰექტარი) მოქცეული, ნაყოფიერი ნიადაგის ძალიან დიდი ფართობია მთლიანად განადგურებული, ჭაღის ტყე და ცხოველებისა და ფრინველების საცხოვრებელი ჰაბიტატი კი ფრაგმენტირებული.
 3. ღია კარიერების დიდი ნაწილი წყლით არის დაფარული. ხშირად, სწორედ ამ წყლიან ორმოებში ხდება სხვადასხვა ტიპის ნაგვის ჩაყრა. დაბინძურებული წყლით სავსე კარიერი საფრთხეს უქმნის ჭაღის ტყეებში მცხოვრებ ცხოველებს, ქვეწარმავლებსა და ფრინველებს, რომელთაც ნაგვით სავსე წყალი შესაძლოა სასმელად გამოიყენონ. არსებობს კარიერებიდან დაბინძურებული წყლის მტკვარში ჩადინების საფრთხეც.
 - დიღმის ჭაღების ტერიტორიაზე არსებული კიდევ ერთი პრობლემაა ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა, რომელთა საქმიანობაც ხორციელდება უკანონოდ და დიდ ზიანს აყენებს, როგორც ჭაღის ეკოსისტემას, ისე მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას.

- ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შპს „ლიდერ-ბეტონის“ ბეტონის საწარმო, რომელსაც 2020 წლის აგვისტოში ჯერ კიდევ არ ჰქონდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. აღნიშნული ანგარიში სამინისტროსთან შეთანხმება მხოლოდ აგვისტოს თვეში, გზდ-ის მიერ ჩატარებული დათვალიერებისას დარღვევის აღმოჩენის შემდეგ მოხდა.
- მუნიცილურ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ასევე ბლოკის დამამზადებელი საწარმო და ქვის სამტეხლო. არცერთ მათგანს არ აქვს შემოსენებული ანგარიში შეთანხმებული სამინისტროსთან.
- **გეოლოგიური საქმიანობები წარმოების გარემოსდაცვითი სტანდარტების დაუცველად მიმდინარეობს**, რაც უარყოფითად მოქმედებს, როგორც მოსახლეობაზე, ისე ბიომრავალფეროვნებაზე. მშრალ ამინდებში საწარმოების მიმდებარე ტერიტორია მტკვრისა და გამონახოლქვში ეხვევა. ნორმების დაუცველად ხდება ინერტული მასალისა თუ გადამუშავებული ქვიშა-ხრეშის საწარმოო და სასაწყობე ტერიტორიიდან გატანაც, რის გამოც გზადაგზა მტკვრის მყარი ნაწილაკების ჰაერში გაფრქვევას აქვს ადგილი. დამტკვრიანების პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის ფაქტი, რომ დიდი დილმისთვის განსაკუთრებით ძლიერი და ხშირი ქარებია დამახასიათებელი. პრობლემურია გადამუშავების პროცესში გამოყენებული წყლით მტკვრის დაბინძურების საკითხიც. შპს „ლიდერ-ბეტონის“ მიერ წარმოების პროცესში მოხმარებული დაბინძურებული წყალი არხის საშუალებით ყველანაირი ფილტრაციის გარეშე, პირდაპირ მტკვარში ჩაედინება.

პრობლემიდან გამოსავალი

- ჭალის ტყის უნიკალური ჰაბიტატის ნაწილი, 18 ჰექტარი ფართობის ტერიტორია დღემდე შემორჩენილია და მის გადასარჩენად მყისიერი ქმედება აუცილებელია.
- დილმის ჭალების ტერიტორიას გენგეგმით ისედაც გააჩნია შესაბამისი სტატუსი იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტი დილმის ჭალების დასაცავად საჭირო ქმედებების განხორციელებას უზრუნველყოფდეს. ტერიტორიის სტატუსის უფრო მეტად გამკაცრების საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ეს შედეგს არ გამოიღებს თუ სტატუსის დაცვა უზრუნველყოფილი არ იქნა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან. მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ საკითხის დღის წესრიგში დასაყენებლად ქვედა რგოლის სამსახურების დონე საკმარისი არაა და საჭიროა პრობლემის მოგვარებით ხელმძღვანელობის დაინტერესება და ამ პროცესში მათი ჩართულობა.

დიღმის ჭაღების ეკოლოგიური კიზისიდან გამოსვლის გეგმა

დიღმის ჭაღების ტერიტორიისთვის გენგეგმით მინიჭებული სტატუსის დასაცავად საჭირო ჭმედებების განხორციელების დაწყება და პროცესში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ჩართულობა

ტერიტორიაზე ყველა იმ საჭმთანობის აკრძალვა, რომელიც ამ ეტაპზე ხორციელდება

ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაგებობის დემონტაჟი და ტერიტორიის გათავისუფლება დასაწყობებული ინერტული მასალისაგან

დანაგვიანებისა და უკანონო ნაგავსაყრელების პრობლემის მოგვარება, ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისგან

მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს მხრიდან გეღამხედველობის გამკაცრება და დაბინძურების ყველა ფაქტის გამომვლენა-აღკვეთა

დევრადირებული გარემოს აღდგენა და ნიადაგის რეკულტივაცია

ტერიტორიაზე ტყე-პარკის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების დაწყება, თუმცა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს დიღმის ჭაღების ლანდშაფტისა და ეკოსისტემის ბუნებრივი სახით შენარჩუნება

ბიბლიოგრაფია

Storgaard Photography. (n.d.). THE TRAGEDY OF DIGHOMI MEADOWS. Retrieved January 18, 2021, from <https://storgaardphotography.com/the-tragedy-of-dighomi-meadows>

Tbilisi City Hall Presscentre. (2015 წლის 25 მაისი). დიღმის ტალღებში 50 ჰექტარზე დასასვენებელი პარკის მოწყობა იგეგმება. მოპოვებული 2021 წლის 16 იანვარი, <https://www.youtube.com/watch?v=RFr28eGrw1k>-დან

Trees for Life. (n.d.). Riparian Woodland. Retrieved December 10, 2020, from <https://trees-forlife.org.uk/into-the-forest/habitats-and-ecology/habitats/riparian-woodland/>

University of New Hampshire. (2018, February 2). Floodplain Forests. Retrieved December 15, 2020, from <https://extension.unh.edu/resource/floodplain-forests>

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. (2019 წლის 31 იანვარი). ახალი საქალაქო პარკის მოწყობის პროექტი დიღმის ტალღებში. მოპოვებული 2021 წლის 16 იანვარი, <https://www.facebook.com/MunicipalServiceforEnvironmentalProtection/videos/vb.1551989221697558/543398949500926/?type=3&theater>-დან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2020 წლის 22 დეკემბერი). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის N 12258/01 წერილი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2020). საქართველოს კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“. მოპოვებული 2021 წლის 31 იანვარი, <http://bit.do/fNgsv>-დან

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. (2020 წლის 19 აგვისტო). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს.

გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია. (2006). გეოლოგიური დასკვნა სალიცენზიო ობიექტის შესახებ.

ევროპის საბჭო. (თ. გ.). ზურმუხტის ქსელი - ინსტრუმენტი ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად. მოპოვებული 2021 წლის 25 იანვარი, <https://rm.coe.int/16806a6d04>-დან

კომერსანტი. (2019 წლის 16 აპრილი). დიღმის ტალღებში ახალი საქალაქო პარკი მოეწყობა. მოპოვებული 2020 წლის 25 დეკემბერი, <https://commerciant.ge/ge/post/dig-mis-chalebshi-axali-saqalaqo-parki-moewyoba>-დან

მახარაძე, გ. (თ. გ.). ქვიშა-ხრემის მოპოვების პრაქტიკა გურიის რეგიონში: მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები. გურიის სამოქალაქო ცენტრი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის 2020 წლის 22 დეკემბრის N 12258/01 წერილი. (თ. გ.).

საქართველოს მთავრობა. (2015 წლის 11 აგვისტო). საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №421 „ნავაგსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მოპოვებული 2021 წლის იანვარი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2946318?publication=0>-დან

საქართველოს პარლამენტი. (1996 წლის 10 დეკემბერი). საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ". მოპოვებული 2020 წლის 20 დეკემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2005 წლის 24 ივნისი). საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ". მოპოვებული 2021 წლის 31 იანვარი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 24 დეკემბერი). საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“. მოპოვებული 2021 წლის 20 იანვარი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2020 წლის 22 მაისი). ტყის კოდექსი. მოპოვებული 2020 წლის 23 დეკემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0>-დან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2018 წლის 18 მარტი). სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. მოპოვებული 2020 წლის 27 დეკემბერი, <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2018/sasargeblo-ciagiseulis-mopoveba.pdf>-დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. (2014 წლის 30 დეკემბერი). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №20-105 დადგენილება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ. მოპოვებული 2021 წლის 20 იანვარი, <https://matsne.gov.ge/document/view/2669598?publication=0#DOCUMENT:1;ENCLOSURE:1;HEADER:1>-დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. (2019 წლის 15 მარტი). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №39-18 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ. მოპოვებული 2021 წლის 27 იანვარი, <https://matsne.gov.ge/document/view/4508064?publication=0>-დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. (2020 წლის 17 სექტემბერი). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სამსახურის მუნიციპალური ინსპექცია-ინსპექტორებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს უფროსის ზურაბ მამსიკაშვილის #17-0120261846 წერილი .

შპს "გამა კონსალტინგი". (2019). ქ. თბილისში მდ. მტკვარზე 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის („დილომი ჰესი“) მშენებლობის და ექსპლუა-

ტაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. მოპოვებული <https://mepa.gov.ge/Ge/EiaAndSeaAnnouncements> -დან

წიალის ეროვნული სააგენტო. (2020 წლის 13 ოქტომბერი). სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის # 22/417 წერილი "მწვანე ალმასის" საცხოვრებელი კომპლექსის მოსახლეობის წარმომადგენელს ქალბატონ მარიამ მაღრაძეს.

პირადი ინტერვიუ კახა არცივაძესთან. 2021 წლის 23 იანვარი.

პირადი ინტერვიუ დალი ბოლქვაძესთან. 2021 წლის 21 იანვარი.

პირადი ინტერვიუ პაატა შანშიაშვილთან. 2021 წლის 30 იანვარი.

ზოგომასაღების ღანატი

ინერტულ და სამშენებლო ნარჩენებში ჩაფლული ხეები




ტექნოლოგიური ინსტიტუტის და მიმდებარე ტერიტორიის გაუტყეურება
2016 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში



ლიად დარჩენილი კარიერების ნარჩენებით ამოვსება
2020 წლის მარტი-ივლისის პერიოდში



2020 წლის ივლისის თვის დაბინძურება



ინერტული მასალის დასაწყობება-გადამუშავების ტერიტორია



სამშენებლო და ინერტული ნარჩენებით სავსე სატვირთოები
დიღმის ჭაღები სტერიტორიაზე



